მალხაზ მაცაბერიძე

კავკასია რუსულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში
(XX საუკუნის 90-იანი წლები)

თბილისი
2001

შინაარსი

შესავალი 5
1. ალექსანდრე დუგინი კავკასიაზე რუსეთის კონტროლის შენარჩუნების გზების ძიებაში 9
კავკასიის კავკასიელებით კონტროლის იდეა 9
“კავკასიური ფედერაციის” რუსული ვარიანტი 9
2. ალექსეი მიტროფანოვის "გეოპოლიტიკური 13
ნაბიჯები" 13
მიტროფანოვი მთელ რისხვას “სამხრეთის” მიმართულებით აფრქვევს 13
იმპერის აღდგენა “რუსული სისხლის” დაუღვრელად 14
რუსეთის “გეოპოლიტიკური განვითარება” კავკასიაში 15
“დიდი სპარსეთი” როგორც “თურქლანდიის” საპირისწონე 19
3. ალექსანდრე ბოროდაის "კავკასიური 20
ომის გეოპოლიტიკა" 20
“პოზიციის გარეშე” დარჩენილი რუსეთი 20
ალტრუისტი რუსი იმპერიალისტები და უმადური კავკასიელები 21
რუსეთის “კავკასიური ტვირთი” 22
გეოპოლიტიკური სამკუთხედი მხოლოდ ერთი “საიმედო” კუთხით 23
საქართველო “არასიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო” 24
აფხაზეთი _ “გამოუსწორებელი შეცდომა” 26
“სწრაფი სიკვდილის” იმედად 26
4. მათ ისევ "საქართველოს დაშლის" იდეა 27
აწუხებთ 27
საქართველოს “დაშლის” სცენარი 27
“დაშლილი” საქართველო რუსეთის ორბიტაზე 29
5. საქართველოს წინააღმდეგ ანტიქართული რიტორიკის გარეშე 30

რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის
გეოპოლიტიკური კონცეფციები 30
„ახალი ევრაზიის“ სომხური კონცეფცია 31
ბრძოლა ნავთობისათვის 33
სომხეთის განსაკუთრებული მისია.....34
”ერთიანი ოსეთი” - რუსეთისა და სომხეთის
დამაკავშირებელი ”რგოლი” 35
”თურქული მოდელი” ამიერკავკასიისათვის 36
„პრორუსული ხალხების“ ბრძოლა „თურქული მოდელის“
წინააღმდეგ.....37
„ახალი წესრიგი“ სამხრეთ კავკასიისათვის 37
6. გეოპოლიტიკურ გათვლებში გახლართული.....38
ჯავახეთი 38
ჯავახეთი “დიდი დესტაბილიზაციის” კონტექსტში 39
სომხეთი ცდუნებასა და რეალიზმს შორის.....39
ვისი ქვემეხებია მიმართული ჯავახეთისკენ.....41
გაერთიანების იდეის ორგვარი ხედვა 42
არ სურთ მეგობარი ქვეყნის გამძლეობის გამოცდა 43
7. რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა და საქართველო.....44
მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის აქტუალობა.....45
რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა 47
საქართველო რუსულ მართლმადიდებლობის
გეოპოლიტიკაში.....51
ქართულ აზროვნებაში რუსული გეოპოლიტიკური
კონსტრუქციების შემოტანის მცდელობანი.....56
ქართული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის
პერსპექტივები.....57
დანართი 59
პოლ გობლი ამიერკავკასიის პრობლემების შესახებ 59
გობლის არმენოფილური ტენდენციები 59

აშშ-ის ახალი კავკასიური პოლიტიკა 60
ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ვარიანტები 61
კავკასიის და შუა აზიის ერთიან რეგიონად განხილვა.....63
ფრონტის ხაზის გარეშე: პროსომხური და პროაზერბაიჯანული ლობის დაპირისპირება აშშ-ში 64

შესავალი

საქართველო-რუსეთის დღევანდელი გართულებული ურთიერთობების გასაგებად მნიშვნელოვანია მკაფიო პასუხის ქონა კითხვაზე, თუ რის მიღწევას ცდილობს და, რაც მთავარია, როგორ ცდილობს რუსეთი საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში. ამ კითხვაზე პირდაპირ და მკაფიო პასუხს დიპლომატები და სხვა ოფიციალური პირები არ იძლევიან. სამაგიეროდ, ამის თაობაზე პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშეა ნათქვამი რუსი გეოპოლიტიკოსების კონცეფციებში. წლების მანძილზე მათი ნააზრევი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენდა რუსული პოლიტიკის ფორმირებაზე.

XX საუკუნის 90-იანი წლები რუსეთში გეოპოლიტიკის ბუმი იყო. ზოგიერთი ანალიტიკოსი პარალელს ავლებდა იმავე საუკუნის 20-30-იანი წლების გერმანიასთან, სადაც ასევე დიდი პოპულარულობით სარგებლობდა აღნიშნული დისციპლინა. ვითარების მსგავსება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ორივე ქვეყანა იმპერიის ნგრევის შემდგომ პერიოდში იმყოფებოდა. გეოპოლიტიკა კი ემსახურებოდა ნეოიმპერიულ ამბიციებს და რევანშის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

რუსულ გეოპოლიტიკაში კავკასიამ თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ჯერ ერთი, ეს რეგიონი მიჩნეული იქნა საკვანძო არეალად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის შესანარჩუნებლად, მეორეც, კავკასია აღმოჩნდა ის არეალი, რომლის "გეოპოლიტიკური რეკონსტრუქციაც" რუსეთმა გარკვეულწილად მოახერხა.

თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციები კავკასიასთან დაკავშირებით XX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ჩამოყალიბდა. ესაა დრო, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვმა განიმტკიცა პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. შეიძლება ითქვას, რომ 1993-1994 წლებისთვის ფაქტობრივად მოხდა სამხრეთ კავკასიის ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება:

_ ყარაბაღი და მიმდებარე აზერბაიჯანის 6 რაიონი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირის სომხეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა;

_ შეიქმნა სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმები და რუსი სამშვიდობოების შემოყვანით მოსკოვმა პირდაპირი კონტროლი დაამყარა საქართველოს ამ ორ რეგიონზე;

_ აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობის განმტკიცებით შეიქმნა ასევე რუსეთის "ნახევრადსეპარატისტული" დასაყრდენი;

_ განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალებები საქართველოსა და აზერბაიჯანში, ორივე ქვეყანა შეურიგდა "სეპარატისტებთან მარცხს" და შევიდა დსთ-ში, რომელიც რუსეთის გარშემო ერთიანი სახელმწიფოს აღორძინების დასაწყისად მიიჩნეოდა.

ამ პროცესებს დასავლეთი მხოლოდ თვალს ადევნებდა და მოვლენათა ამგვარი განვითარებისათვის ხელის შეშლის არათუ მზადყოფნა, არამედ სურვილიც არ ქონია. სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესები დასავლეთმა მეტ-ნაკლებად ცოტა უფრო მოგვიანებით გაიცნობიერა, როდესაც რუსეთს უკვე დამთავრებული ქონდა სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოური გეოპოლიტიკური გადანაწილება. XX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებისათვის ერთი მხრივ, მოსკოვში დარწმუნებულნი არიან, რომ კავკასიაში "ყველაფრის გაკეთება" შეუძლიათ, მეორე მხრივ, ხედავენ, რომ ამ რეგიონში მათთვის "არასასურველი პროცესებიც" მიმდინარეობს:

_ მიუხედავად პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური გადანაწილებისა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზიანოდ, ეს ორი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში არ იყო ჩაყენებული, რომ მდგომარეობის გამოსწორებაზე არ ეფიქრა;

_ თანდათანობით იზრდება დასავლეთის ინტერესები რეგიონისადმი, რაც პირველ რიგში "დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინების მცდელობასა და კასპიის ნავთობ-პროექტების რუსეთის გვერდის ავლით განხორციელების გეგმებში გამოიხატებოდა;

_ შეიქმნა პოსტსაბჭოთა გაერთიანება სუუამი, რომელიც მოსკოვში აღიქმებოდა როგორც რუსეთის წინააღმდეგ მიმართული გეოპოლიტიკური კონსტრუქცია.

რუსული პოლიტიკისათვის უმთავრესი ამოცანა აღნიშნული და სხვა არასასურველი პროცესების შეჩერებაა. ოფიციალური მოსკოვი უფრო "დიპლომატიური და თავდაჭერილია", სამაგიეროდ რუსი გეოპოლიტიკოსები არიან აგრესიულნი და აყალიბებენ სამხრეთ კავკასიის ახალი გადანაწილების გეგმებს. მათ, უბრალოდ, არც განუხილავთ საქართველოსთან კომპრომისის ვარიანტი, რასაც შევარდნაძის ხელისუფლება წლების მანძილზე სთავაზობდა - სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერაზე უარის თქმა რუსული სამხედრო ბაზების საქართველოში დატოვების სანაცვლოდ.

შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა გეოპოლიტიკამ დაკარგა რეალობის გრძნობა და დაკავებული იყო თავისებური "გეოპოლიტიკური ინჟინერიით", როდესაც ყალიბდებოდა კავკასიის ახალი გადანაწილების სცენარები: ამ საქმიანობაში თავისი ძალა და ფანტაზია მრავალმა რუსმა ანალიტიკოსმა გამოსცადა. ვინ არ იყო ჩართული ამ საქმიანობაში - დუგინი, მიტროფანოვი, ჟირინოვსკი, ბოროდაი, ზატულინი, მიგრანიანი და სხვები, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. რა იდეას არ იპოვის ადამიანი მათ ნააზრევში: კავკასიის კავკასიელებით კონტროლის იდეა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ეთნოკონფლიქტების გაჩაღებით და "საერთოკავკასიური სახლის" შექმნით რუსეთის ეგიდით; თურქეთ-სპარსეთის მეტოქეობის გამოყენება; "მართლმადიდებლობის ფაქტორის" ამოქმედება; "ორი ოსეთის გაერთიანება", "სომხეთთან დამაკავშირებელი დერეფნის" გაყვანა; აჭარაზე კონტროლის შენარჩუნება; ბაქო-ჯეიჰანის პროექტის არარეალურობისა და ჩაშლის სცენარების დამუშავება; აზერბაიჯანისა და საქართველოს "დაშლის" გეგმები და ა. შ.

ამ პერიოდში რუსულმა გეოპოლიტიკამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა - მათ აქცენტი სამხედრო ფაქტორზე ქონდათ გადატანილი და თვლიდნენ, რომ ამერიკელები "რუსეთის გასაძევებლად" ისევე იმ-

ოქმედებდნენ, როგორც რუსეთი მოქმედებდა - კონფლიქტების პროვოცირებით და გაღვივებით. ეკონომიკური ფაქტორების და "გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება" მათთვის უსიამოვნო მოულოდნელობა იყო.

უნდა ითქვას, რომ რუსული გეოპოლიტიკისთვის განსაკუთრებით "საყვარელი" საქართველოს "დაშლის" იდეა აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ამის მიღწევა უფრო "ადვილი" ეჩვენებოდათ; მეორეც, საქართველოს როგორც ერთიანი სახელმწიფოს გაქრობა ხსნიდა იმ საფრთხეებს, რაც რუსეთის ნეოიმპერიულ გეგმებს ექმნებოდა არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელს პოსტსაბჭოურ სამხრეთშიც. თითქოსდა, საქართველოს "დაშლის" გეგმა "რეალური" იყო - აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, აჭარა, რუსული გეოპოლიტიკა ჯავახეთს უტრიალებდა, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ ასლან აბაშიძის რეჟიმის დემონტაჟმა და აჭარაზე მოსკოვის კონტროლის მომენტალურმა დაკარგვამ ეს გეგმები ეჭვქვეშ დააყენა.

რუსული გეოპოლიტიკა დღესაც აქცენტს საქართველოს დაშლაზე აკეთებს. კვლავ თავგამოდებით იცავენ სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებს, კვლავ აქტიურად უტრიალებენ ჯავახეთს და ბორჩალოს, მაგრამ როგორც ადრე, ისე დღესაც პასუხი არ გაჩნიათ კითხვაზე _ რა იქნება იმ შემთხვევაში, თუკი "საქართველოს დაშლის" იდეა არ იმუშავებს. მათ, საბოლოო ჯამში, "საქართველოზე კონტროლი" ჭირდებათ და არა მის ნაწილებზე. ამიტომაც, ბოლო დროს აქტიურად ჩნდება მოსკოვის შემწეობით საქართველოს გაერთიანების იდეა, რომელიც რეალობად იქცევა, თუკი საქართველო უარს იტყვის დასავლურ ორიენტაციაზე.

1. ალექსანდრე დუგინი კავკასიაზე რუსეთის კონ-ტროლის შენარჩუნების გზების ძიებაში

კავკასიის კავკასიელებით კონტროლის იდეა

კავკასიაში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა რუსეთისათვის ტრადიციული სამხედრო-ძალისმიერი მეთოდებით რეგიონის შენარჩუნების "ფასი". ეს კარგად აჩვენა ჩეჩნეთის სამხედრო მეთოდებით დათრგუნვის უშედეგო მცდელობამ.

რუსეთი არ აპირებს კავკასიის დათმობას, არამედ ეძებს გავლენის შენარჩუნების ახალ გზებს. იდეალურად მიჩნეულია ისეთი ვითარება, როდესაც კავკასიაში წარმოქმნილი დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები იძულებულნი იქნებიან რუსეთზე ორიენტირებულნი იყონ.

რუსი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთზე ამგვარად "მიბმულნი" არიან, მაგალითად, ოსეთ-ალანია და დაღესტანი. ორივე ავტონომიური რესპუბლიკა დოტაციურია. გარდა მატერიალური დახმარებისა, მოსკოვი მეზობლებთან კონფლიქტში მოქცეული ოსებისათვის უსაფრთხოების გარანტად, ხოლო დაღესტნელებისათვის ეროვნული მშვიდობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტად წარმოდგება.

"კავკასიური ფედერაციის" რუსული ვარიანტი

კავკასიის კავკასიელებით კონტროლის იდეის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსის ალექსანდრე დუგინის "კავკასიური ფედერაციის" შექმნის იდეა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ იმპერიულ აზროვნებას მნიშვნელოვანი მოდიფიცირების უნარი აქვს და სრულიადაც არ მიაჩნია "კავკასიური სახლის" გარკვეული ვარიანტები თავისი ინტერესების საწი-

ნააღმდეგოდ. პირიქით, რეგიონზე კონტროლის შენარჩუნება სწორედ ამ იდეის გამოყენებით შეიძლება სცადოს კიდეც.

ა. დუგინის კონცეფციის თანახმად, რომელიც გადმოცემულია მის 600-გვერდიან ნაშრომში "გეოპოლიტიკის საფუძვლები. რუსეთის პოლიტიკური მომავალი", _ კავკასიაზე რუსეთის კონტროლის შენარჩუნების საფუძვლად უნდა იქცეს რუსებით დასახლებული მისი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებს მოიცავს და გადაჭიმულია დონის როსტოვამდე, ასტრახანამდე და ვოლგოგრადამდე. ესაა ისტორიული ხაზარეთის ტერიტორია და დუგინი ამ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს პირობითად "ხაზარულ სამკუთხედს" უწოდებს.

ეს სამკუთხედი, რომელიც უშუალოდ ეკვრის რუსეთის ცენტრალურ რაიონებს, მოსკოვმა ყოველნაირად უნდა გააძლიეროს ტექნოლოგიურად, სტრატეგიულად და ინტელექტუალურად. დუგინს აქ სასურველად მიაჩნია "ადმინისტრაციულად ინტეგრირებული მთლიანი რუსული ზონის შექმნა", რომელშიც ჩართული უნდა იქნეს ყალმუხეთის ჩრდილოეთი რაიონები.

"ხაზარულ სამკუთხედში", დუგინის მიხედვით, მთავარია ე.წ. ჰორიზონტალური კავშირების განმტკიცება. ამის შემდეგ კი "ინტეგრაციის ვექტორის" ხასიათი რადიკალურად უნდა შეიცვალოს. მთელი ჩრდილოეთ კავკასია და ყველაფერი, რაც მის სამხრეთით მდებარეობს, უნდა დაემორჩილოს მხოლოდ და მხოლოდ მერიდიანულ ორიენტაციას.

"ხაზარული სამკუთხედის" სტრატეგიულმა ცენტრებმა უნდა განავითარონ სამხრეთისაკენ მიმართული გეოპოლიტიკური ჯაჭვები: როსტოვი - კრასნოდარი - მაიკოპი - სოხუმი - ბათუმი, სტავროპოლი - კისლოვოდსკი - ნალჩიკი - ვლადიკავკაზი - ცხინვალი - თბილისი და ასტრახანი - მახაჭყალა.

დუგინის მიხედვით, რუსეთმა მხარი უნდა დაუჭიროს ამიერკავკასიის ეთნიკური რეგიონების ყოველგვარ ჰორიზონტალურ გამიჯვნას, ხოლო მერიდიანული ინტეგრაცია კი, პირიქით - განამტკი-

ცოს. დუგინის აზრით, აქტიური სეპარატისტული ჩეჩნეთი ნებისმიერი საშუალების გამოყენებით უნდა მოსწყვიტონ ინგუშეთსა და დაღესტანს. ჩეჩნეთს თუკი დარჩება მხოლოდ საქართველოზე "გასასვლელი", იგი გეოპოლიტიკურად კონტროლირებადი იქნება და მისი მართვა, დუგინის თანახმად, შესაძლებელი იქნება მართლმადიდებელი საქართველოს მხრიდანაც.

საქართველოს რუსეთზე "მისაჯაჭვად", დუგინს საჭიროდ მიაჩნია აფხაზეთის უშუალოდ დაკავშირება რუსეთთან და "ორი ოსეთის" გაერთიანება, რაც არასოდეს არ იქცევა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად და დარჩება ეთნიკურ-კულტურული გაერთიანების დონეზე. თავისებური "კომპენსაციის" სახით საქართველოზე მჭიდროდ უნდა იქნეს მიბმული, გარდა ჩეჩნეთისა, აგრეთვე, ინგუშეთი და დაღესტანიც. ამან შეიძლება გამოიწვიოს ავტონომიური ჩრდილოკავკასიური ზონის შექმნა, რომელიც ეკონომიკურად განვითარებული იქნება, მაგრამ სტრატეგიულად მთლიანად რუსეთის მიერ კონტროლირებადი დარჩება.

დუგინისეული "ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი კავკასიაში" მოითხოვდა არსებული პოლიტიკური რეალობების სრულ გადანაწილებას და დღევანდელი სახელმწიფოების ჩანაცვლებას წმინდა გეოპოლიტიკური სისტემით ცენტრი-პერიფერია, ამასთან პერიფერიის სტრუქტურა უნდა განისაზღვროს არა პოლიტიკური, არამედ ეთნოკულტურული დიფერენციაციის გზით.

დუგინის აზრით, ამის განხორციელება შესაძლებელია "კავკასიის ფედერაციის" შექმნის მეშვეობით, რომელმაც უნდა მოიცვას ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო და რუსეთის ჩრდილოკავკასიური სუბიექტები. მოსკოვმა ამ წარმონაქმნს უნდა მისცეს კულტურულ-ეკონომიკური ავტონომიის - ავტარქიის შესაძლებლობა, მაგრამ ამავე დროს უზრუნველყოფილი იქნება უმკაცრესი ცენტრალიზმი. დუგინის სიტყვით, ჩამოყალიბდება მოქნილი სისტემა, რომელიც დაეფუძნება არა ძალადობას, ოკუპაციას ან კავკასიური მრავალფეროვნების

უნიფიკაციას, არამედ რუსეთთან "ერთიანობისა და საერთო ბედის შეგნებას".

განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება სომხეთს, რომელიც "რუსეთის ტრადიციული და საიმედო მოკავშირეს წარმოადგენს კავკასიაში". სომხეთი დღეს სტრატეგიული ბაზაა თურქეთის ექსპანსიის შესაჩერებლად, სამომავლოდ კი რუსეთს შეეძლება მისი გამოყენება გეოპოლიტიკური შეტევისათვის ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელი თურქეთის შემადგენლობაში შედის, ისევე როგორც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სომხურ-ქურთული კავშირები "თურქეთის შიგნით გეოპოლიტიკური შერყევების პროვოცირებისათვის".

ამასთან დუგინს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია "სახმელეთო დერეფნის" შექმნა, რომელიც მთელ კავკასიას გადაკვეთს და სომხეთს საიმედოდ დააკავშირებს "ხაზარულ სამკუთხედთან". რუსულ-სომხური გეოპოლიტიკის გარკვეულ წრეებში ნანატრი "დერეფანი", ბუნებრივია, საქართველოს ტერიტორიაზე გაჰყავთ და ამ იდეის შესაბამისად, საქართველოს დაშლის გეგმებსაც აწყობენ.

სომხეთი, დუგინის აზრით, მნიშვნელოვანია, აგრეთვე მოსკოვი - ერევანი - თეირანის გეოპოლიტიკური ღერძის ჩამოსაყალიბებლად. ირანზე უნდა "მიბმული" იქნეს აზერბაიჯანიც რელიგიური, ეთნიკური და ისტორიული კავშირების გამოყენებით. ამრიგად, რუსეთი და ირანი დაკავშირებულნი აღმოჩნდებიან კიდევ ერთი "ჯაჭვით".

კავკასიის გეოპოლიტიკური სისტემის "გასაწონასწორებლად", დუგინის აზრით, ასევე აუცილებელია მოსკოვის უშუალო კავშირების დამყარება ყარაბაღთან.

"ახალი კავკასიური წესრიგის" დუგინისეული სქემა მეტად ნიშანდობლივია. ბევრი რამ მოსკოვის დღევანდელი პოლიტიკიდან თავისუფლად "ჯდება" დუგინისა და სხვა მსგავსი სქემებიდან მომდინარე რეცეპტებში.

2. ალექსეი მიტროფანოვის "გეოპოლიტიკური ნაბიჯები"

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გეოპოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსეი მიტროფანოვმა ერთ წიგნად შეკრიბა თავისი და თავის თანამოაზრეთა გეოპოლიტიკური იდეები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთისათვის "ძველი დიდების" დაბრუნება განუზრახავთ. "ნაბიჯები ახალი გეოპოლიტიკისაკენ" - ასეთი სათაური აქვს აღნიშნულ წიგნს. თუმცა, საეჭვოა, რომ მიტროფანოვის რჩევების შესაბამისად გადადგმული "ნაბიჯები" სასიკეთოდ წაადგეს რუსეთს.

მიტროფანოვი მთელ რისხვას "სამხრეთის" მიმართულებით აფრქვევს

მიტროფანოვის გეოპოლიტიკური იდეები, როგორც სახელწოდებასა და ავტორის ამბიციებს შეჰფერის, მთელ მსოფლიოს სწვდება და რუსეთისათვის "საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი ძლიერების" დაბრუნების სურვილითაა გამსჭვალული, მაგრამ განსაკუთრებული აგრესიულობით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ გამოირჩევა.

ამასთან, არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოცემული რესპუბლიკა მიტროფანოვის ცნობიერებაში რუსეთის "მეგობრად" განიხილება თუ "მტრად". მიტროფანოვის "ხალასი" რუსული შოვინიზმისათვის წარმოუდგენელია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი არსებობა, ამიტომ მის გეოპოლიტიკურ ფანტაზიებში ეს სახელმწიფოები ან რუსეთს უერთდებიან, ანდა "გულუხვად" ჩუქნის იმ ქვეყნებს, რომელთა "გულის მოგებაც", მიტროფანოვის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია.

მიტროფანოვის თანახმად, რუსეთი და ბელარუსი კი არ უნდა გაერთიანდნენ, არამედ ბელარუსი ნაწილ-ნაწილ - ცალკეული ოლქების სახით უნდა შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში,

რათა ვეღარასოდეს შეძლოს იქიდან გამოსვლა. რაც შეეხება პრეზიდენტ ლუკაშენკოს, რომელსაც მიტროფანოვი დიდად ესიყვარულება, პირადად მისთვის, მადლიერების ნიშნად, "დუმელ" გეოპოლიტიკოსს საჭიროდ მიაჩნია რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება.

მიტროფანოვისთვის "ისტორიული ანაქრონიზმია" სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობაც. მაგალითად, მისი წარმოდგენით, ყაზახებს მხოლოდ საქონლის მწყემსვა შეუძლიათ, ამ საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელება კი ყაზახებს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშიც შეეძლებათ და, აქედან გამომდინარე, არაა საჭირო მათთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის ქონა. თუმცა, მთლიანად ყაზახეთის რუსეთთან შეერთებაზე მიტროფანოვი არ ფიქრობს და მზადაა, ყაზახეთის აღმოსავლეთი რაიონები ჩინეთს დაუთმოს, რათა დააკმაყოფილოს "ამ დიდი ქვეყნის კანონიერი გეოპოლიტიკური მისწრაფებები".

ჩინეთი მიტროფანოვს ამერიკელთა შესაშინებლად სჭირდება. ამასთან, თვითონაც გვარიანად ეშინია ჩინეთისა და აზიის ამ გიგანტმა რუსეთის თითქმის დაუსახლებელ შორეული აღმოსავლეთის რაიონებზე რომ არ განაცხადოს პრეტენზია, სასწრაფოდ აღმოსავლეთ ყაზახეთს აჩეჩებს ხელში.

იმპერიის აღდგენა “რუსული სისხლის” დაუღვრელად

ძალიან რომ არ შეაშინოს რუსი მკითხველი იმაზე ფიქრით, თუ "რა დაჯდება" იმპერიის აღდგენა, მიტროფანოვი განუწყვეტლივ ირწმუნება, რომ მისი იდეები სწორედ "რუსული სისხლის" გაფრთხილებას გულისხმობს და რუსი ჯარისკაცები აღარ უნდა იხოცებოდნენ "სხვათა ინტერესების გულისთვის".

ამისათვის, მიტროფანოვის აზრით, განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს პრაქტიკაში "რუსული ნაციონალური ეგოიზმის დოქტრინა და იდეოლოგია". ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთმა, თავისი მიზნების მისაღწევად, ერთმანეთს უნდა გადაკიდოს მეზობელი

ქვეყნები, ქვეყნებს შიგნით კი სხვადასხვა ძალები. ამასთან, დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთს - რუსეთის "მეგობრის", მეორეს კი მტრის სტატუსი ექნება. მათ რომ თავისუფლად "გაარკვიონ" ერთმანეთში ურთიერთობა, რუსეთის სამხედრო ბაზები და მესაზღვრეები მთლიანად გამოყვანილნი უნდა იქნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიიდან.

მიტროფანოვს სასტიკად არ მოსწონს დსთ-ს ქვეყნების სათავეში მყოფი ადამიანები, რომლებიც მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, "მონურად იხრიან ქედს ამერიკის წინაშე". თუმცა, რუსი გეოპოლიტიკოსის შეფასებით, მდგომარეობა "უიმედო" არაა და ყველგან შეიძლება "ხელმძღვანელი ახალი კადრების გამოზრდა". დსთ-ს ქვეყნების მიმართ დასახულ მიზანს მიტროფანოვი მოკლედ და მკაფიოდ აყალიბებს: "ჩვენი სტრატეგიული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას ყველა აუცილებელი პირობა, რათა ასეთი ადამიანები რაც შეიძლება სწრაფად მოვიდნენ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სათავეში". მიტროფანოვი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა მეთოდებით აპირებს ამ "სტრატეგიული ამოცანის" განხორციელებას. თუმცა ეს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს დაკვირვებული მკითხველისათვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების და საერთოდ მეზობელი ქვეყნების ერთმანეთზე გადაკიდება, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შიდა დაპირისპირებათა გაღვივება მიტროფანოვის გეოპოლიტიკის უმთავრესი პოსტულატებია. ამ "მეთოდოლოგიური" მიდგომიდან გამომდინარეობს მიტროფანოვის მიერ შემუშავებული კონკრეტული რეცეპტები ცალკეული რეგიონებისათვის.

რუსეთის “გეოპოლიტიკური განვითარება” კავკასიაში

მიტროფანოვი, რომელიც ძალზედ შეწუხებულია რუსეთის იმპერიული პოზიციების შერყევით კავკასიაში, "მდგომარეობის გამოსწორების" გზებს ეძებს და ერთ-ერთი რეცეპტის სახით "საქართველოს დაშლა" წარმოუდგება. "გაურკვეველი როლი, რასაც დღეს კავკასიაში საქართველო ასრულებს, განსაკუთრებით მსოფლიო არენაზე (!) რუ-

სეთის ინტერესების მხარდაჭერის თვალსაზრისით, ამ ქვეყანას რუსეთისათვის არასაიმედო პარტნიორად აქცევს", - ასეთია "დუმის" მთავარი გეოპოლიტიკოსის დასკვნა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა ბედს უმზადებს მიტროფანოვი რუსეთის "საიმედო პარტნიორს" ბელარუსს - შვიდ ნაწილად შლის და რუსეთს უერთებს. იგივე განუზრახავს მიტროფანოვს საქართველოს მიმართაც, რომლის არსებობაც "მრავალ გეოპოლიტიკურ სიძნელეს" უქმნის რუსეთს და, შესაბამისად, რომლის "გაქრობაც", მიტროფანოვის სიტყვით, ხელს შეუწყობს "ამ რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკურ განვითარებას".

ეს "განვითარება" კი მტაცებლურ-იმპერიალისტურია: რუსეთმა უნდა მიიერთოს აფხაზეთი, "სამხრეთ ოსეთი", აჭარა; ფოთში კი თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზა უნდა შექმნას. დანარჩენი საქართველოს ბედი მიტროფანოვს აღარ აინტერესებს. მისთვის სასურველი იქნება, თუკი ამ ტერიტორიებისთვის თურქეთსა და ირანს შორის გაჩაღდება ბრძოლა. დუმელ გეოპოლიტიკოსს ჰგონია, რომ XX საუკუნის დამდეგამდე თბილისი "სავსებით სპარსული ქალაქი იყო". ეს კი მისთვის "საბუთია" იმისა, რომ თურქეთი და ირანი კვლავ დაეძგერებიან ერთმანეთს "რუსეთისათვის არასაჭირო" საქართველოს ნაწილების დასაუფლებლად. თურქეთ-ირანის ბრძოლის გაშლას კი მიტროფანოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მიტროფანოვის მოკლე ჭკუით, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ტერიტორიების მიტაცება რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, მთლიანად გააკონტროლოს ამიერკავკასიის კომუნიკაციები და მის შიდა რაიონებში გაჩაღებული ბრძოლები მხოლოდ მოსკოვის წისქვილზე დაასხამს წყალს.

მიტროფანოვის აზრით, რუსეთმა არა მარტო უნდა მიიერთოს აფხაზეთი, არამედ "გეოპოლიტიკური პარტნიორის დონემდეც უნდა აამაღლოს" იგი, რადგანაც "აფხაზეთთან მეგობრობა" რუსეთს დაეხმარება "სტაბილური ურთიერთობების დამყარებაში" ჩრდილო-დასავ-

ლეთ კავკასიის ადიღეური მოდგმის ხალხებთან. ეს კი იმის გარანტია იქნება, რომ აღნიშნული ხალხები ჩეჩნეთის გზას არ დაადგებიან.

მეამბოხე ჩეჩნეთის წინააღმდეგ მთავარ მოკავშირედ მიტროფანოვს ოსები ესახება. ამიტომ იგი ოსეთს "ახალი რუსული გეოპოლიტიკისათვის" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მოითხოვს, რომ მოსკოვმა ხელი შეუწყოს "ორი ოსეთის გაერთიანებას". ეს მისი აზრით, საქართველოს "დაშლის" შემთხვევაში "თავისთავად" მოხდება. იგულისხმება, რომ ოსები ერთიანი ძალით უფრო ენერგიულად შეებრძოლებიან ჩეჩნებს...

თუ საქართველოს რაღაც ნაწილების ბედი "ბურუსითაა მოცული" და მიტროფანოვი მათ შესახებ არაფერს გვეუბნება, სამაგიეროდ, გარკვეული და ცალსახაა მისი პოზიცია აზერბაიჯანთან დაკავშირებით. ყოფილ "ბაქოს გუბერნიას" იგი გულუხვად ჩუქნის სპარსეთს, რა თქმა უნდა, ყარაბაღის გამოკლებით, რომელიც სომხეთის ხელში უნდა გადავიდეს.

"არასასურველ" საქართველოსა და აზერბაიჯანთან "გეოპოლიტიკური ანგარიშსწორების" შემდეგ, მიტროფანოვი სომხეთის ქებადიდებაზე გადადის, სომხეთი, მისი სიტყვით, კავკასიაში "გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის" გამოსადეგი ერთადერთი პარტნიორია. ამიტომ რუსეთი უნდა დაეხმაროს არა მარტო ყარაბაღის შეერთებაში, არამედ სხვა ტერიტორიების დაბრუნებაშიც. მიტროფანოვის ნაირი "მეგობრები" სომხეთის "სარგებლიანობას" თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავენ. სომხები ამ მიმართულებით საბრძოლველად რომ შეაგულიანონ, მიტროფანოვი "დიდი სომხეთის" აღდგენაზე მსჯელობს და დღეს სევანის ტბასთან მდებარე ქვეყანას ხმელთაშუა ჟა შავ ზღვებზე გასასვლელს ჰპირდება.

თურქული საფრთხის განეიტრალებას მიტროფანოვი "40-მილიონიანი ქურთი ხალხის" მხარდაჭერითაც ვარაუდობს. მისთვის მებრძოლი ქურთები "ძლიერი კოზირია", რომელიც მოსკოვმა თავისი ინტერესების შესაბამისად უნდა გამოიყენოს. მაგალითად, ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოებას, რაც რუსეთისათვის ძალზე არასასურვე-

ლია, ამ ორგანიზაციის ყველა წევრის თანხმობა სჭირდება. ამიტომ რუსეთმა ულტიმატუმი უნდა წაუყენოს ანკარას _ ვეტო დაადოს ნატოს გაფართოებას, სამაგიეროდ, რუსეთი მხოლოდ ქურთისტანის ავტონომიას დაუჭერს მხარს თურქეთის შემადგენლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვმა ქურთებს იარაღითა და ინსტრუქტორებით ფართო სამხედრო დახმარება უნდა გაუწიოს და დაეხმაროს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში.

მიტროფანოვის გეოპოლიტიკურ წარმოსახვაში "ქურთთა სახელმწიფოს ძალისმიერი შექმნა", რომელიც შეუერთდება ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს გეოპოლიტიკურ ღერძს (!), "მკვეთრად გაზრდის რუსეთის როლს შუა აღმოსავლეთში". თუმცა, მიტროფანოვს თავის გეოპოლიტიკურ გათვლებში გამოეპარა ერთი "უმნიშვნელო" დეტალი - "დიდი სომხეთიცა" და "დიდი ქურთისტანიც" ერთსა და იმავე ტერიტორიაზე - დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში იქმნება, რაც გარდუვალად გამოიწვევს მიტროფანოვის რუსეთის ამ "ორი საიმედო მოკავშირის" ერთმანეთთან შეჯახებას. შესაძლოა, მიტროფანოვი ამას ვერ ხვდება, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ასეთი "გაურკვევლობა" წინდაწინვეა ჩადებული "მეგობართა უკეთ გაკონტროლების" მიზნით.

მიტროფანოვს ჯერ საბოლოოდ "ვერ გადაუწყვეტია" ჩეჩნეთის ბედი, რომელიც მსოფლიოზე კბილებალესილ გეოპოლიტიკოსს ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი. მიტროფანოვი ზოგჯერ ჩეჩნეთის სასტიკად დასჯაზე ფიქრობს და, ასეთი დასჯის მცდელობის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩეჩნეთის ირანისათვის გადაცემაზეც ფიქრობს, რომელიც მეამბოხე ჩეჩნებს ფუნდამენტალისტური მკაცრი ხელით გაუსწორდება. ზოგჯერ შესაძლებლად თვლის მისთვის "ფაქტობრივი დამოუკიდებლობის" მინიჭებას, თუკი "კომპენსაციის სახით" მანამდე რუსეთი რაიმე ტერიტორიის, მაგალითად ბელარუსის მიერთებას შეძლებს (რა თქმა უნდა მისი "რეცეპტის" შესაბამისად). დამოუკიდებელი ჩეჩნეთი კი რუსეთმა "კავკასიის ჟანდარმის როლ-

ში" შეიძლება გამოიყენოს. კავკასიაში "დასასჯელი" კი ჩვენს ჩრდილოელ მეგობარს ქართველები და აზერბაიჯანელები ჰყავს.

"დიდი სპარსეთი" როგორც "თურქლანდიის" საპირისწონე

მიტროფანოვის "ახალ გეოპოლიტიკაში" შემოხაზული "დიდი სომხეთიცა" და "დიდი ქურთისტანიც" მხოლოდ ლოკალური ამოცანების გადასაწყვეტადაა გამიზნული. თურქული "საფრთხის" სრულად განეიტრალებისა და აშშ-ის შემოტევის შესაჩერებლად მიტროფანოვი გაცილებით უფრო ძლიერი მოკავშირის კონსტრუირებას ცდილობს. ასეთ მოკავშირედ მიტროფანოვს მხოლოდ "დიდი სპარსეთი" ესახება.

მიტროფანოვს მტკიცედ გადაუწყვეტია ირანთან დამეგობრება. მისი განცხადებით, რუსეთი და ირანი მხოლოდ საქართველომ გადაჰკიდა ერთმანეთს (!). სხვა მხრივ კი მათ შორის არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. რადგანაც "მეგობრები" მიტროფანოვს მხოლოდ "მტრების" წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება, ამიტომ ირანი სასწრაფოდ უნდა გაფართოვდეს სიგრძე-სიგანეში. მიტროფანოვი ირანს არა მარტო აზერბაიჯანს "უბრუნებს", რომელიც XIX საუკუნეში მხოლოდ გრიბოედოვის მკვლელობის გამო წაართვეს ამ ქვეყანას, არამედ მას ტაჯიკეთს, თურქმენეთს და ავღანეთის დიდ ნაწილსაც უმატებს.

ასეთი "დიდი სპარსეთის" ტერიტორია, მიტროფანოვის გამოთვლით, 2 მილიონ კვადრატულ კილომეტრს გადააჭარბებს და მას თავისუფლად შეეძლება, რუსეთთან ერთად "გაანეიტრალოს" თურქეთ-ამერიკის გეგმები, რომლებიც ნავთობის ათვისების საბაბით კასპიის ზღვის აუზში ცდილობენ დამკვიდრებას. გარდა ამისა, "დიდმა სპარსეთმა" რუსეთს საიმედო გასასვლელი უნდა მისცეს სამხრეთის ზღვებზე.

მიტროფანოვს განზრახული აქვს, აგრეთვე, რუსეთ-ირანის ერთობლივი ძალისხმევით, კასპიის ზღვისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი არხის მშენებლობა, რასაც "დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა" ექნება.

ზემოთნათქვამი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ იდეებისა, რაც თავმოყრილია რუსეთის დუმის მთავარი გეოპოლიტიკოსის ნაშრომში. "ოფიციალური სტატუსის" არქონის შემთხვევაში, შესაძლოა, მიტროფანოვის ოპუსისათვის ყურადღება არც მიგვექცია, მაგრამ შემაშფოთებელი სწორედ ისაა, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა მსგავს იდეებს არ ემიჯნება. მიტროფანოვის "გეოპოლიტიკური ნაბიჯების" სრული სახით განხორციელებას არათუ ოფიციალური მოსკოვი, არამედ თავად მიტროფანოვიც ვერ გაბედავს, მაგრამ რუსეთის პოლიტიკა კავკასიის რეგიონში რომ რაღაც მსგავსი იდეების შესაბამისად ყალიბდება, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება.

3. ალექსანდრე ბოროდაის "კავკასიური ომის გეოპოლიტიკა"

რუსული "ველიკოდერჟავული" პრესა დიდი ხანია მოსთქვამს "კავკასიის დაკარგვის რეალური საფრთხის" თაობაზე და აქტიურად ეძებს გეოპოლიტიკურ რეცეპტებს რეგიონში გაბატონებული პოზიციების შესანარჩუნებლად. ამ ტიპის ოპუსია გაზეთ "ზავტრაში" გამოქვეყნებული ალექსანდრ ბოროდაის სტატია შთამბეჭდავი სათაურით "წინ ომია! ამიერკავკასიისა და კავკასიის გეოპოლიტიკური ნარკვევი" ("ზავტრა", 1997, N 35).

"პოზიციის გარეშე" დარჩენილი რუსეთი

"ყველა განვითარებული სახელმწიფოდან, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ ამიერკავკასიაში, მხოლოდ რუსეთს არ გააჩნია რამდენადმე ნათელი და მკაფიო პოლიტიკური პოზიცია", - აღნიშნავს ა. ბოროდაი. ესაა რუსი ნაციონალისტების უკვე ტრადიციულად ქცეული ბრალდება ოფიციალური მოსკოვის მისამართით. მაგრამ ვერც ამ სტატიის გაცნობის შემდეგ დავინახავთ რამდენადმე "ნათელ და მკაფიო პოლიტიკურ პოზიციას".

ავტორის ამოსავალი დებულებები და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები უმრავლეს შემთხვევაში ისე შორს დგას რეალობისგან და იმდენად აბსურდულია, რომ მასთან კამათი "ჭეშმარიტების გასარკვევად", ალბათ, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. თუმცა, ბოროდაის სტატიის მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა გავერკვეთ რუსული იმპერიული აზროვნების "ლოგიკურ ლაბირინთებში". ეს აზროვნება დღეს გარკვეულწილად მოწყვეტილია რეალობას, მაგრამ სწორედ მის საფუძველზე მოქმედებს ამ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის მრავალი მიმდინარეობის წარმომადგენელი - რადიკალ-შოვინისტიდან დაწყებული, ლიბერალ-დემოკრატით დამთავრებული.

ალტრუისტი რუსი იმპერიალისტები და უმადური კავკასიელები

ა. ბოროდაი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასია ყოველთვის იყო იქ მცხოვრები ხალხების ურთიერთ შუღლისა და მეზობელი დიდი სახელმწიფოების ბრძოლის არენა. ასე გრძელდებოდა XIX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც რუსეთის იმპერიამ საბოლოოდ "ჩართო თავის შემადგენლობაში" ეს მხარე.

შედეგად, თურმე, იმპერია "მიიღო რეგიონი, რომელსაც არა მარტო არ მოჰქონდა არანაირი ეკონომიკური სარგებელი, არამედ მოითხოვა უდიდეს ორგანიზაციულ და ფინანსურ ძალისხმევას". რუსეთის მთავრობა "არ შეუშინდა" ამ ხარჯებს და "ამიერკავკასიას მოუტანა საუკუნეების განმავლობაში არნახული მშვიდობა და შედარებითი აყვავება".

ა. ბოროდაი რუს მკითხველს გულს უჩუყებს იმის გახსენებით, თუ რა სათნო და კეთილი ხალხი იყო XIX საუკუნის რუსი კოლონიზატორები: კავკასიის მოსახლეობა არ ატარებდა ისეთ საგადასახადო უღელს, რითაც წელში წყდებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიები, დიდი ხნის განმავლობაში არ იყვნენ სამხედრო ვალდებულნი და როდესაც შემოიღეს სამხედრო ბეგარა, მას საკმაოდ მსუბუქი ხასიათი ქონდა. იმპერია, თურმე კავკასიის მოსახლეობას ანიჭებდა მნიშვნე-

ლოვან სავაჭრო და სხვა პრივილეგიებს, აძლევდა უფართოეს შესაძ-ლებლობებს კულტურული განვითარებისათვის.

ამით რუსეთის იმდროინდელი მმართველი წრეები ცდილობ-დნენ "იმპერიის ჩამორჩენილი განაპირა მხარის ლოიალურობისათ-ვის ნიადაგის შექმნას". საჭირო სახსრებს კი ცენტრალური გუბერნი-ებიდან იღებდნენ, რითაც შეარყიეს "სახელმწიფოწარმომქმნელი ხალ-ხის - ველიკორუსების და ოდნავ ნაკლები დონით ბელორუსებისა და მალოროსების ძალა".

კავკასიელისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, რომლის წინაპ-რებმაც თავის ზურგზე გამოსცადეს რუსი კოლონიზატორების საქმი-ანობა და მეტ-ნაკლებად იცნობენ ჭეშმარიტ ისტორიას, ა. ბოროდაის მიერ ჩამოყალიბებული პოსტულატები ერთდროულად სასაცილოცაა და აღმაშფოთებელიც. მაგრამ, როგორც ითქვა, ა .ბოროდაის თხზუ-ლება, ძირითადად, "საშინაო მოხმარებაზეა" გათვლილი და ყოველი-ვე ზემოთქმულის შემდეგ იგი უშფოთველად დაასკვნის: "ასეთი იყო რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სპეციფიკა".

მსგავსი ხასიათის მსჯელობათა მუსირება სრულიადაც არ წარ-მოადგენს უწყინარ ინტელექტუალურ გავარჯიშებას ისტორიულ თე-მატიკაზე. ისინი გამიზნულია მტრის ხატის შესაქმნელად და მომავა-ლი აგრესიული მოქმედებების გასამართლებლად. ასეთი "ისტორიუ-ლი ექსკურსების" საფუძველზე რუსმა მკითხველმა უნდა დაასკვნას, რომ საჭიროა "უმადური კავკასიელების" ჭკუაზე მოყვანა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე, თურმე, კარგად ცხოვრობდნენ რუსების სის-ხლისა და ოფლის ფასად.

რუსეთის “კავკასიური ტვირთი”

ა. ბოროდაის მსჯელობის თანახმად, რომელიც დღევანდელი რუსი "დერჟავნიკის" ტიპიურ თვალსაზრისს გამოხატავს, კავკასიის დაპყრობას რუსეთისათვის არაფერი მოუტანია, გარდა ზედმეტი ხარ-ჯებისა და დამატებითი თავსატეხისა. დღეს კი, თურმე, "უკვე შვიდი

წელია კავკასია და ამიერკავკასია რუსეთის სხეულზე უდიდესი წყლულის სახით ლპება და სისხლი სდის, შთანთქავს ფულს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მომაკვდავი იმპერიის ტერიტორიაზე ფანტავს საშინელ მეტასტაზებს - სეპარატიზმისა და სახელმწიფო ღალატის კერებს".

ნათქვამიდან ლოგიკური იქნებოდა დასკვნა, რომ რუსეთი უნდა წავიდეს კავკასიიდან და, შეძლებისდაგვარად, გათავისუფლდეს კავკასიაში ყოფნის მძიმე ტვირთისგან. მაგრამ არა, ბოროდაის სტატიიდან ვგებულობთ, რომ კავკასიის დაკარგვა რუსეთისათვის "კატასტროფული შედეგების მომტანია". ირკვევა, რომ კავკასიაში არის "სტრატეგიული ტერიტორიები" და აეროდრომები, ბუნებრივი წიაღისეული, თუნდაც კასპიის ნავთობი, რომელიც დღეს მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. გარდა ამისა, რუსეთის მიერ კავკასიის დათმობა "ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს", რასაც შეიძლება მოჰყვეს "სამხრეთის ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვა" და რუსეთის სწრაფი უკანდახევა XVI საუკუნის საზღვრებისაკენ.

მაშასადამე, მოთქმა კავკასიური "მძიმე ტვირთის" თაობაზე მხოლოდ თვალში ნაცრის შეყრა ყოფილა და "დერჟავის ბედით" გულშეწუხებული ადამიანისათვის საკამათო არაა, რომ "კავკასიის შენარჩუნება" აუცილებელია იმპერიის გადასარჩენად. საქმე ეხება მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მეთოდებისა და ხერხების გამონახვას.

გეოპოლიტიკური სამკუთხედი მხოლოდ ერთი "საიმედო" კუთხით

რუს ანალიტიკოსებს ამიერკავკასია გეოპოლიტიკური სამკუთხედის სახით წარმოუდგებათ, რომლის კუთხეებიც (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) ვერასოდეს გაერთიანდებიან და, მაშასადამე, "რეგიონი დიდ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ როლს

ვერ შეასრულებს". აქედან გამომდინარე, ამიერკავკასია ყოველთვის იქნება დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობის არენა.

დღეისათვის ამ მეტოქეობაში რუსეთი, თურმე, მხოლოდ "მეთვალყურის როლით" იფარგლება. შედეგად ამიერკავკასიაში თურქეთი და აშშ გაბატონდნენ, ირანი კი ცდილობს არ დაუშვას თურქეთის "ზესახელმწიფოდ" გადაქცევა. ამიერკავკასიის სახელმწიფოებიდან, ა.ბოროდაის აზრით, რუსეთის ერთადერთი საიმედო მოკავშირე სომხეთია, რომელიც რუსეთის გარეშე განწირულია და განადგურებული იქნება "თურქული ბლოკის" ძალებით.

სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს "რუსეთის მტრების" იარლიყი ერგოთ. ა.ბოროდაი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანს, რომელიც ალიევის ძალისხმევის შედეგად", გადაიქცა თურქეთის, აშშ-სა და არაბული ქვეყნების გეოპოლიტიკური გეგმების დამოუკიდებელ რგოლად, მისი აზრით, მიმდინარეობს თურქეთ-აზერბაიჯანის ინტეგრაცია, რაც გარდამავალი ეტაპია "დიდი თურანის" შექმნის გზაზე.

საქართველო "არასიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო"

ა. ბოროდაის მთელი რისხვა მაინც საქართველოს ატყდება თავს. დღევანდელი საქართველო, თურმე, "საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოხაზულ საზღვრებში" ხელოვნური წარმონაქმნია, რომელიც კონსტრუქტორივით არის აწყობილი მრავალი ეთნიკური ტერიტორიისაგან. საქართველოს, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულს, შეეძლო მშვიდად ეარსება უდიდესი იმპერიის წიაღში, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო "ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია" და შეიძლება ცალკეულ ნაწილებად დაიშალოს.

ქართულ სახელმწიფოზე აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ა. ბოროდაი სულაც არაა ორიგინალური. ესაა დღევანდელი რუსული იმპერიული აზროვნების "საყვარელი თეზისი", რომლის საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა გეოპოლიტიკური სქემები და განაპირობებს საქართველოსადმი აგრესიულ დამოკიდებულებას.

მსგავსი განცხადებებით და საქართველოს "დაშლისკენ" მიმართული ნაბიჯებით რუსეთის იმპერიის თანამედროვე არქიტექტორები თავად უბიძგებენ საქართველოს მეტოქე დიდი სახელმწიფოებისაკენ, ანუ აკეთებენ იმას, რისი თავიდან აცილებისათვის განუზრახავთ საქართველოს "დაშლა".

საინტერესოა იმ "ეთნიკური ერთეულების" ჩამოთვლა, რადაც, თურმე, შესაძლებელია დაიშალოს საქართველო: "აფხაზეთი, აჭარა, სამეგრელო, კახეთი, სვანეთი, იმერეთი, ოსეთი და ა. შ.". ამ "ეთნოპოლიტიკური ანალიზის" შედეგრიდან, როდესაც კაცი უცდის, თუ როდის გამოეყოფა კახეთს იმერეთი, ნათლად ჩანს, თუ რა ცუდად იცნობენ ჩვენს ქვეყანას ბოროდაის მსგავსი "კეთილისმყოფელნი".

ა. ბოროდაის მიერვე დასახელებული ფაქტები ანგრევენ მის თეზისს "არასიცოცხლისუნარიანი საქართველოს" თაობაზე. იგი გაბრაზებული აღნიშნავს, რომ ე .შევარდნაძემ, ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, მოახერხა უმჭიდროესი კონტაქტების დამყარება თურქეთთან და აშშ-სთან, მათგან იღებს პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას, პერსპექტივაში კი სამხედრო მხარდაჭერის იმედიც აქვს. ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ნავთობსადენი, საქართველო გადაიქცევა სატრანზიტო ქვეყნად, რომლითაც თურქეთი, აზერბაიჯანი და ცენტრალური აზია ერთმანეთს დაუკავშირდება, ჩეჩნეთისაკენ გადადგმული შემხვედრი ნაბიჯები კი უზრუნველყოფს ჩრდილოკავკასიელ "ბოევიკთა" ნეიტრალიტეტს აფხაზეთის ახალი ომის შემთხვევაში.

ბოროდაის განცხადებით, თურმე, შევარდნაძემ აჭარა თურქეთს "დაუთმო", რათა ეს უკანასკნელი დაეხმაროს აფხაზეთის დაბრუნებაში. თუმცა, ბოროდაისთვის ეს არ უნდა იყოს არსებითი. მთავარი ისაა, რომ საქართველო არ აპირებს "დაშლას" და ამ მიზნის მისაღწევად დასახული პოლიტიკა განწირულია მარცხისათვის.

აფხაზეთი _ “გამოუსწორებელი შეცდომა”

რას იგებს რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევით? ამაზე ა.ბოროდაი პასუხს არ იძლევა. სამაგიეროდ, აღიარებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ყველაზე დიდი მცდელობა _ რუსეთის მიერ აფხაზ სეპარატისტთა მხარდაჭერა, "არცთუ გონივრული ნაბიჯი იყო". თუმცა, იგი "პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოების პატრიოტულად განწყობილ ნაწილში". ეს, თურმე, იყო სამაგიეროს გადახდა "კავშირის დამანგრეველ საძულველი შევარდნაძისათვის".

ა. ბოროდაის აღიარებით, აფხაზ სეპარატისტთა მხარდაჭერამ მოამზადა ჩრდილოკავკასიელ სეპარატისტთა კადრები და ხელი შეუწყო ამ მოძრაობის გაშლას ქედს იქით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთმა უნდა გააგრძელოს არჩეული კურსი და შეეცადოს აქედან "რაიმე დივიდენდის მიღებას". თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ახალი ომის შემთხვევაში საქართველოს დამარცხება ადვილი აღარ იქნება.

“სწრაფი სიკვდილის” იმედად

ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური ანალიზის ბოროდაისეული შეჯამება ფრიად ორიგინალური და არაკორექტულია. მისი დასკვნით, ერთადერთი იმედი რეგიონში რუსეთის გავლენის შენარჩუნებისათვის არის "მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციული სისუსტე", კერძოდ კი, საქართველო და აზერბაიჯანი ძალზედ არიან დამოკიდებულნი პიროვნულ ფაქტორზე, მათი ლიდერები - ე. შევარდნაძე და ჰ. ალიევი უკვე "ხნიერი ადამიანები არიან, სუსტი ჯანმრთელობით" და მოულოდნელი სიკვდილი უახლოეს მომავალში "ქაოსისა და კლანური შიდაბრძოლების დაწყების მაუწყებელი" იქნებოდა. ეს კი, ა.ბოროდაის აზრით, "ხელსაყრელია რუსეთისათვის".

4. მათ ისევ "საქართველოს დაშლის" იდეა აწუხებთ

თუ დავუკვირდებით, რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ რუსეთის პოლიტიკური ძალები ჩვენი ქვეყნის მიმართ ნეოიმპერიული თვალსაზრისისგან ვერ განთავისუფლებულან და ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ საქართველო დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს. საქართველოს რუსეთთან "რეინტეგრაციის" მიზნის მიღწევას კი ემსახურება "საქართველოს დაშლის" გეგმა, რომლის რეალიზებასაც მიზანმიმართულად ცდილობენ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში.

საქართველოს "დაშლის" სცენარი

ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსის განცხადებით, საქართველო "ეფემერულ გაერთიანებას" წარმოადგენს. იგი ნაწილ-ნაწილ შეიერთა მეფის რუსეთმა და მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირობებში ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ მთლიანობას. ამიტომ "რუსეთის გარეშე" საქართველო "გარდუვალად დაიშლება". მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსკოვისათვის "არასასურველი პოლიტიკის" გატარების შემთხვევაში, ამ მიმართულებით მოვლენათა განვითარებას რუსეთმა აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი.

ამ სახის მასალები არც თუ მცირე რაოდენობითაა გამოქვეყნებული რუსეთის პრესაში. ნიშანდობლივია, მაგალითად, რუსეთის სამთავრობო "როსიისკაია გაზეტას" 1998 წლის 28 ნოემბრის ნომერი. იქ ერთმანეთის გვერდითაა დაბეჭდილი ამერიკელი პოლიტოლოგის არიელ კოენის სტატია "კონფლიქტები კავკასიაში ემუქრება აშშ-ის ინტერესებს" და ცნობილი რუსი დიპლომატის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვლადიმერ სტუპიშინის სტატია "აშშ ემუქრება რუსეთის ინტერესებს კავკასიაში".

კოენი აღნიშნავს, რომ აშშ-ის ინტერესები კავკასიაში მოითხოვს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სუვერენიტეტის განმტკი-

ცებას, მათთვის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიების მიცემას. ამიერკავკასიაში აშშ-ის ამგვარი "შემოღწევის" პერსპექტივებით შეშფოთებული სტუპიშინი კი მოითხოვს "საქართველოსა და აზერბაიჯანში ამერიკული თამაშების" აღკვეთას.

სტუპიშინის განცხადებით "სწორი იქნებოდა", რომ რუსეთს "უფრო მტკიცედ დაეჭირა მხარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის", ხოლო საჭიროების შემთხვევაში "საქართველოს სხვა რაიონებისათვის, რომლებიც თავს "კარტლიას" არ მიაკუთვნებენ და ფედერალურ მოწყობას ამჯობინებენ". სტუპიშინის სიტყვებით, რუსეთს ამის გაკეთება შეუძლია "ნებისმიერი ხალხის თვითგამორკვევის ბუნებრივ უფლებაზე დაყრდნობით", რაც საერთაშორისო დოკუმენტებითაა აღიარებული (?!).

საქართველოს დაშლის იდეა რუსული გეოპოლიტიკისათვის ძალზედ მომხიბვლელ ცდუნებას წარმოადგენს. მაგალითად, კ. გაჯიევი მიუთითებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთისაკენ სწრაფვაზე და სწუხს იმაზე, რომ საქართველოში დაშვებული არაა დამწერლობა მეგრულ და სვანურ ენებზე.

კ. გაჯიევის შენიშვნით, საქართველოს განაპირა მხარეებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისუსტის გამო ძალიან "ადვილად ექვემდებარებიან" მეზობელი სახელმწიფოების ზეგავლენას. გაჯიევი ვრცლად საუბრობს ასევე საქართველოში მცხოვრები აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ავარების, ქისტების, ასევე აჭარის "სეპარატისტულ განწყობაზე" და შესაბამის პერსპექტივებზე

ვ. ილინი აღნიშნავს, რომ "ბრძოლა აფხაზეთისათვის, სამხრეთ ოსეთისათვის, შესაძლოა, აჭარისათვის, რომლებითაც დაინტერესებულია როგორც საქართველო, ისევე რუსეთი, განაპირობებს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ტემპებსა და ინტერვალებს". გამოსავალის სახით ვ. ილინს შემდეგი რეცეპტი აქვს: "გადაწყვეტილება, რომელსაც გვკარნახობს ინტუიცია, მდგომარეობს ორმაგი დაქვემდებარების პროტექტორატების შექმნაში" .

საქართველოს მიმართ რუსული გეოპოლიტიკის ძირითად სტერეოტიპებს იმეორებს ვ. დერგაჩიოვიც, რომელიც უკრაინაში მოღვაწეობს. მისი თქმით, "სომხეთისაგან განსხვავებით საქართველოში და აზერბაიჯანში შენარჩუნებულია ტომობრივი და კლანური წარმონაქმნები. სეპარატისტული განწყობილება განსაკუთრებით გამოვლინდა კონფლიქტებში აფხაზეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში". დერგაჩიოვის შეფასებით "გეოპოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება კავკასიაში რთულდება ერის ფორმირების დაუმთავრებლობით საქართველოში და აზერბაიჯანში. მაგალითად, საქართველოში გარდა ყველაზე გავრცელებული ქართულისა, არის სამი მონათესავე ენა _ მეგრული, სვანური და ლაზური. მეგრელები, რომელთა დედაქალაქი უძველესი დროიდან იყო ზუგდიდი, ცხოვრობდნენ ბიზანტიისა და თურქეთის ხელისუფლების ქვეშ".

"დაშლილი" საქართველო რუსეთის ორბიტაზე

ბუნებრივია, დგება კითხვა: ხომ არ იტყვიან ნეოიმპერიული ანალიტიკოსები "საქართველოს დაშლის" მცდელობაზე უარს იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო "რუსეთის ორბიტაში" მოექცევა? ვნახოთ თუ როგორ ესახება ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რუს გეოპოლიტიკოსს ა. დუგინს რუსეთზე ორიენტირებული საქართველოს მომავალი. აღსანიშნავია, რომ მისი წიგნი ქართულადაც გამოიცა. საქართველო ექვემდებარება კავკასიაში დუგინის გეოპოლიტიკის ამოსავალ პრინციპებს - "რეგიონის არა პოლიტიკური, არამედ ეთნო-კულტურული დიფერენციაცია" და "ეთნიკური რეგიონების მერიდიანული ინტეგრაციის და ჰორიზონტალური გამიჯვნის წახალისება". შედეგად, დუგინის განცხადებით, "აფხაზეთი პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს რუსეთს", ასევე იქმნება "ერთიანი ოსეთი". სამაგიეროდ, დარჩენილ "მართლმადიდებელ საქართველოს" ეკისრება თავისებური "კავკასიური სახლის" კონტროლის ფუნქცია. დუგინის აზრით, გეოპოლიტიკურ ალყაში მოქცეული ჩეჩნეთი შეიძლება იმართოს "მარ-

თლმადიდებლური საქართველოს მხრიდან", გარდა ამისა, "საქართველოს აგრეთვე უნდა მიებას, ნაწილობრივ, დაღესტანი და ინგუშეთი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ავტონომიური ჩრდილო-კავკასიური ზონის შექმნა, ეკონომიკურად განვითარებულის, მაგრამ სტრატეგიულად მთლიანად რუსეთის მიერ კონტროლირებადის" (5, 351).

ა.დუგინს შესაძლებლად მიაჩნია "კავკასიის ფედერაციის" შექმნაც, რომელშიც დღევანდელი "დსთ-ს სამ რესპუბლიკასთან ერთად" გაერთიანდებიან "შიდა რუსული ავტონომიური წარმონაქმნებიც"(5, 352).

5. საქართველოს წინააღმდეგ ანტიქართული რიტორიკის გარეშე

რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის გეოპოლიტიკური კონცეფციები

1998 წლის 26 მარტს ”ნეზავისიმაია გაზეტას” მიერ გამოქვეყნებულმა მოხსენებამ, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ რუსეთში არსებულ მრავალრიცხოვან ანალიტიკურ ცენტრებს. მათ მიერ შექმნილ გეოპოლიტიკურ სქემებში ხშირად ფიგურირებს ჩვენი ქვეყანა და, ამასთან, უმრავლეს შემთხვევებში, არცთუ პოზიტიური თვალსაზრისით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული კონცეფციების დანიშნულებაა ზემოქმედების მოხდენა რუსეთის ხელისუფლებასა და პოლიტიკურ წრეებზე, საერთოდ საზოგადოებრივ აზრზე, გასაგები გახდება ის საფრთხე, რაც ჩვენ ქვეყანას შეიძლება დაემუქროს ამ ძალისხმევის წარმატების შემთხვევაში.

ერთ-ერთ ასეთ ანალიტიკურ დაწესებულებას წარმოადგენს რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრი, რომელიც მოსკოვში შეიქმნა

1994 წლის 20 ნოემბერს. მისი ხელმძღვანელია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი არკადი არმავირის ძე ვართანიანი, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი სედა კონსტანტინეს ასული ვერმიშევა - პროფესიით ეკონომისტი და მწერალი.

ცენტრის უპირველესი ამოცანაა სომხეთისა და რუსეთის "რეალური დაახლოების გზების ძიება რეალურად არსებული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების საფუძველზე. ცენტრი მიზნად ისახავს შეავსოს შეავსოს "საინფორმაციო ველის ხარვეზები", პირველ რიგში იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც მიმდინარეობს სომხეთსა და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ცენტრის მიერ შემუშავებული გეოპოლიტიკური კონცეფციების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სედა ვერმიშევას პუბლიკაციები გაზეთ „პრავდა-5"-ში (1996 N 83 და 1997 N 9). ამ კონცვეფციათა დანიშნულებაა რუსეთს დაუსაბუთოს სომხეთთან კავშირის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათა გამოირიცხოს რუსეთის შესაძლო გადასვლა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის „ბალანსირების" პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისს კი თავისი მომხრეები ყავს რუსეთის პოლიტიკურ წრეებში.

ზოგადად თუ შევხედავთ, ცენტრის მიერ შექმნილი კონცეფციებისათვის დამახასიათებელია: 1. საკითხთა განხილვის დროს ისტორიული არგუმენტაციის მოშველიება, ამასთან, მნიშვნელოვანწილად, ფაქტების ტენდენციური შერჩევითა და ინტერპრეტაციით; 2. რუსეთისა და სომხეთის „ერთმორწმუნეობაზე" აქცენტის გაკეთება; 3. აშკარად გამოკვეთილი ანტი-აზერბაიჯანული და ანტი-თურქული მიმართულება; 4. ცენტრის მიერ შექმნილ კონცეფციებში არ გვხვდება ანტიქართული რიტორიკა, მაგრამ თავისი არსით ისინი საქართველოს წინააღმდეგაცაა მიმართული.

„ახალი ევრაზიის" სომხური კონცეფცია

აღნიშნული კონცეფცია ცენტრის უმთავრეს ნააზრევს წარმოადგენს, საიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი სქემა. იგი პირველ რიგში მიმართულია რუსეთსა და შუა აზიის ზოგიერთ სახელმწი-

ფოში არსებული თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ ევრაზიული კავშირი უნდა შეიქმნას სლავი და თურქული მოდგმის ხალხების კავშირის საფუძველზე. რუსეთის მიერ ასეთი თვალსაზრისის მიღება გულისხმობს აზერბაიჯანთან, როგორც თურქულენოვან სახელმწიფოსთან კავშირის იდეასაც. ეს კი კატასტროფას ნიშნავს სომხეთის დღევანდელი პოლიტიკური კურსი-სათვის, რომელიც აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაპირისპირე-ბაზეა აგებული.

გარდა ამისა, თუკი რუსეთი თურქულენოვან სამყაროს მოწინა-აღმდეგედ აღარ მიიჩნევს, მაშინ, ფაქტობრივად, საფუძველი ეცლება მოსკოვისათვის სომხეთის განსაკუთრებული მნიშვნელობის თეზისს და, შესაბამისად, რუსეთ-სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობის მთავარ იდეას.

სლავურ-თურქული ევრაზიის თეზისის წინააღმდეგ სომეხი გეოპოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ:

1.ასეთი კავშირის სათავეში რუსეთი ვერ აღმოჩნდება. თურ-ქულენოვანი პოლიტიკოსები როდესაც მხარს უჭერენ სლავურ-თურ-ქული ევრაზიის შექმნას, ამ დროს „თავისთავად იგულისხმება“, რომ კავშირის სათავეში ერთი თურქულენოვანი სახელმწიფო იქნება.

2. სლავურ-თურქული ევრაზიის იდეა, ფაქტობრივად, მხოლოდ დასაწყისია „დიდი თურანის“ (თურქთა ერთიანი სახელმწიფოს) მშენებლობის გეგმისა. ამ სახელმწიფოს დიდი ნაწილი რუსეთია ტერიტორიაზეა „პროეცირებული“.

3. დღეს არსებული პრობლემები: ჩეჩნეთში, თათრეთში (ყაზანი) და ყირიმში მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს „დიდი თურანის“ მშენებლობის პოლიტიკიდან.

4. რუსეთ-თურქეთის ინტერესების შეუთავსებლობაზე მეტყვე-ლებს ისტორიაც. კერძოდ, ის მრავალი ომი, რაც ამ ორ სახელმწიფოს ყოფილა წარსულში.

სლავურ-თურქული ევრაზიის იდეას სომეხი გეოპოლიტიკო-სები უპირისპირებენ „ახალი ევრაზიის“ სხვაგვარ მოდელს, რომელიც

დაემყარება რუსეთის კავშირს ირანთან და არაბულ ქვეყნებთან. სწორედ ასეთ ევრაზიულ სივრცეში მოიაზრება სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა თურქულენოვანი მეზობლებისგან და, მისი განსაკუთრებული როლის დამკვიდრება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში.

რუსეთისა და სომხეთის გარდა, ამ სტრატეგიულ კავშირში, ს. ვერმიშევას განცხადებით, შეიძლება გაერთიანდნენ „მართლმადიდებლური ოსეთი, საქართველო, ბულგარეთი, ირანი, საბერძნეთი, კვიპროსი, იუგოსლავია, ბოსნიის სერბეთი, სირია, ერაყი, ლიბანი და სხვები“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კავშირი თავისი არსით ანტითურქული და ანტიდასავლური უნდა იყოს.

„ახალი ევრაზიის“ თავიანთი მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთებისათვის ცენტრის მიერ მოშველიებულია სამი ძირითადი არგუმენტი: 1. საერთო სანავთობო ინტერესები; 2. რუსეთისათვის დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო დერეფნის მიუღებლობის იდეა; 3. ისტორიულ გამოცდილებაზე მითითება.

ბრძოლა ნავთობისათვის

ს. ვერმიშევას განცხადებით, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ბრძოლა „ენერგეტიკული მომავლისათვის“. სწორედ ამით აიხსნება დასავლეთის და პირველ რიგში აშშ-ის მოქმედება სპარსეთის ყურის და კასპიის აუზის ნავთობრესურსებისათვის. ამ ბრძოლაში, ს. ვერმიშევას მტკიცებით, რუსეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების (ირანი და არაბული სახელმწიფოები) ინტერესები პრაქტიკულად ერთიანია - მათთვის თანაბრად არასასურველია „კასპიის ნავთობის უკონტროლო მიწოდება მსოფლიო ბაზარზე“. ახალი ექსპორტიორების გამოჩენა, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სახით, შეამცირებს ნავთობის ფასს. ეს მტკივნეულად აისახება რუსეთის სავალუტო შემოსავალზე, ანდა საერთოდ არაკონკურენტულად აქცევს მის უფრო ძვირადღირებულ ნავთობს.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება, ცენტრის ანალიტიკოსთა მტკიცებით, არ შედის რუსეთის ინტერესებში, რადგანაც: ა) ერთმანეთთან აკავშირებს ორ თურქულ ეთნომასივს - თურქეთსა და შუა აზიას; ბ) ევრაზიული მაგისტრალის პროექტის ჩანაფიქრი მდგომარეობს ევროპის, თურქეთის, ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის ინტეგრაციაში და ამისათვის სატრანსპორტო წანამძღვრების შექმნას გულისხმობს; გ) ევრაზიული დერეფნით ნავთობის ექსპორტი რუსეთის კონტროლის გარეშე განხორციელდება.

სომხეთის განსაკუთრებული მისია

ს. ვერმიშევას განცხადებით, თუ თურქეთს ორი საუკუნის მანძილზე ებრძოდა რუსეთი და ეხლაც ებრძვის, ირანთან, მას შემდეგ რაც 1828 წელს ხელი მოაწერა „საუკუნო ზავს“ აღარ უომია. არაბულ ქვეყნებთან რუსეთს ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, რაც შეეხება სომხეთსა და საქართველოს, „თავის დროზე ისინი ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში“.

რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის მტკიცებით, სომხეთს ეკისრება განსაკუთრებული მისია - იყოს რუსეთის და სპარსეთის ყურის ქვეყნების დამაკავშირებელი ხიდი: 1. სომხეთსა და ყარაბაღს გააჩნიათ უშუალო საზღვარი ირანთან; 2. სომხეთი, რომელიც ”ძველი აღმოსავლური ცივილიზაციების მემკვიდრეა”, ფლობს შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ კი ირანთან და არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის უდიდეს ისტორიულ გამოცდილებას, რითაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მოსკოვისთვის.

რუსეთთან სახმელეთო კავშირით, ვერმიშევას განცხადებით, დაინტერესებულია ირანიც, თუკი აშშ სპარსეთის ყურის შესასვლელს გადაკეტავს.

რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის კონცეფციის თანახმად, გარდა იმისა, რომ სომხეთს ეკისრება ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი ევრაზიული ხიდის ფუნქცია, იგი ამავე

დროს, რუსეთს უდიდეს სამსახურს უწევს იმითაც, რომ "სომხური სოლით" (ანუ ირანთან 46-კილომეტრიანი სახმელეთო საზღვრის ქონით) დარღვეულია თურქულენოვანი ეთნომასივის მთლიანობა. რუსეთის "დროებითი უკანდახევის" პირობებში, სწორედ ეს უშლის ხელს "თურქეთის ინფილტრაციას აზერბაიჯანსა და შუა აზიაში".

"ერთიანი ოსეთი" - რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი "რგოლი"

რუსეთისა და ირანის შემაერთებელ ხიდად სომხეთის დასახვას ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია. სომხეთი მართლაც ესაზღვრება ირანს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით რუსეთთან მიმართებაში. აზერბაიჯანთან კონფლიქტის პირობებში, სომხეთს რუსეთისა და ირანის დამაკავშირებელი ხიდის როლის შესრულება საქართველოს გარეშე არ შეუძლია. რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის გეოპოლიტიკოსები რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს აღნიშნულ ფაქტს. ისევე როგორც ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებასაც, რომ "სომხური სოლის" არსებობის კომპენსირება "თურქულ ეთნომასივს" თავისუფლად შეუძლია საქართველოს მეშვეობით ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

მიუხედავად ამისა, ცენტრის გეოპოლიტიკოსები "თავს იკავებენ" საქართველოსთვის სომხეთის ანალოგიური რაიმე მისიის დაკისრებისაგან და სანაცვლოდ გვთავაზობენ "ერთიანი მართლმადიდებლური ოსეთის", როგორც რუსეთისა და სომხეთის შემაკავშირებელუი "რგოლის" იდეას.

საერთოდ, ს. ვერმიშევას მტკიცებით, ოსებს სომხებთან ერთად "განსაკუთრებული მნიშვნელობა" აქვს რუსეთისათვის. თურმე, სწორედ სომხები და ოსები განსაზღვრავენ კავკასიის "ქრისტიანულ სახეს" და, რაც მისთვის მთავარია, რეგიონის" პრორუსულ ორიენტაციას". გარდა ამისა, ჩრდილოეთ და "სამხრეთ ოსეთზე" გადის რუსეთიდან ამიერკავკასიისაკენ მომავალი უმოკლესი მაგისტრალი (იგულისხმება როკის გვირაბი), რომლის მეშვეობითაც ადვილად გავა

ყოფილი საბჭოთა კავშირის "სამხრეთის ზღუდეებზე". ალაგირი-ცხინვალის გზის გამოყენებით დაძლეული იქნება აგრეთვე აფხაზეთისა და აზერბაიჯანის "მონოპოლია" რუსეთ-ამიერკავკასიის დამაკავშირებელ მაგისტრალებზე.

"თურქული მოდელი" ამიერკავკასიისათვის

როგორც უკვე ითქვა, რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ თემატიკას. ერთ-ერთი ასეთი "ისტორიული კონცეფციის" თანახმად, 1918-1921 წლებში ამიერკავკასიის ტერიტორიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა, რეგიონში რუსეთის არყოფნის პირობებში მიმდინარეობდა რუსეთის, გერმანიის, თურქეთის სამხედრო ძალის მონაწილეობით. ს. ვერმიშევას მტკიცებით, აღნიშნული სახელმწიფოები, გარდა საკუთარი ინტერესებისა, იცავდნენ აზერბაიჯანის ინტერესებსაც. გენოციდით დასუსტებული სომხეთის ხარჯზე. იგულისხმება, რომ ეს თურქეთის ზეგავლენითა და აზერბაიჯანის ნავთობ რესურსების გათვალისწინების გამო მოხდა.

1921-1922 წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ბოლშევიკებმა, იმ დროისათვის თავისი პოზიციების სისუსტის გამო, ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი თურქეთის ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტეს: ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის დიდი სახელმწიფო, რომელიც ვერმიშევას მტკიცებით, მანამდე საერთოდ არ არსებობდა და მის შემადგენლობაში მოაქციეს სომხური ოლქები - ნახჭევანი და ყარაბაღი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიული მოწყობის „თურქული მოდელის" ასპექტში განიხილება აჭარის, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" მოქცევა საქართველოს შემადგენლობაში.

რუსულ-სომხური ინიციატივების ცენტრის გეოპოლიტიკოსთა მტკიცებით, ამიერკავკასიაში თურქული გეოპოლიტიკური სტრატეგიის თანმიმდევრული რეალიზაციის შედეგად, „რუსული ორიენტა-

ციის ხალხები“ - სომხები და ოსები ორად გაყოფილნი აღმოჩნდნენ. ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა ეს ხალხები და, შესაბამისად, რუსეთის პოზიციები რეგიონში. ს. ვერმიშევას დასკვნით, „ამ კონტექსტში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს, სომხეთსა და ყარაბაღის გათიშულობა უნდა განხილულ იქნას კომპლექსურად, ამიერკავკასიის რუსეთისგან ჩამოცილების ერთიანი სტრატეგიის ალგორითმში“.

„პრორუსული ხალხების“ ბრძოლა „თურქული მოდელის“ წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც ევრაზიის სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობენ, 1918-1921 წლების მსგავსად, კვლავ ჩათრეული აღმოჩნდნენ „დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და ფინანსური დავის სფეროში“.

ს. ვერმიშევას განცხადებით, ამიერკავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნის მოდელი, რომელიც თურქეთმა თავს მოახვია რუსეთს, „მისთვის მძიმე 1921 წელს“, დღესაც რეალობად რჩება, მაგრამ იგი ამჟამად ფაქტობრივად „ქვემოდან“ იქნა გამოსწორებული - „პრორუსული ორიენტაციის ხალხების“ - სომხების, აფხაზების, ოსების მიერ „სისხლიანი შეტაკებებისა და ომების შედეგად“. იგულისხმება, რომ ამიერკავკასიის ახლანდელი „პოლიტიკური კონფიგურაცია“ - აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთის“ და მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული რეჟიმების არსებობა შეეესაბამება რუსეთის ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, მოსკოვმა ხელი უნდა შეუწყოს ამ ვითარების შენარჩუნებას.

„ახალი წესრიგი“ სამხრეთ კავკასიისათვის

სეპარატისტული რეჟიმების „დე-ფაქტო“ არსებობა არ წარმოადგენს ამიერკავკასიისათვის იმ „იდეალურ ვითარებას“, რომლის მიღწევითაც დაკმაყოფილებას აპირებენ სომხურ-რუსული ცენტრის გეოპოლიტიკოსები. მათი აზრით საჭიროა ამიერკავკასიის სახელმწი-

ფოებრივ-ტერიტორიული დაყოფის უფრო რადიკალური გადასინ-ჯვა. კერძოდ კი, აზერბაიჯანისა და საქართველოს დაშლა.

ს. ვერმიშევას თანახმად, აზერბაიჯანი ხელოვნურად შეკოწიწე-ბულ „მინი-იმპერიას“ წარმოადგენს, რომელიც უნდა დაიშალოს. გარდა ყარაბაღისა, აზერბაიჯანს გამოეყოფიან ირანის მოსაზღვრე თალიშები, დაღესტნის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები ლეკები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ იგივე ბედს უმზადებდნენ აზერბაიჯანს „ნეზავისიმაია გაზეტას“ 1997 წლის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებული მოხსენების ავტორები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. ვერმიშევა ერიდება საქართველოს საწინააღმდეგო „მწვავე გამოთქმებს“, მაგალითად მას „მინი-იმპერიას“ არ უწოდებს, მაგრამ საქართველოს დაშლაც, ფაქტობრივად, მათ იდეალს წარმოადგენს. კერძოდ, ს. ვერმიშევას მიერ მოცემული ისტორიულ-ფაქტოლოგიური ბადე, რომელიც საქართველოს ავტონომიებს შეეხება, გამოიყენება აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების მხარდასაჭერად, ისევე როგორც აჭარას „საქართველოსგან განკერძოების“ მცდელობისათვის.

6. გეოპოლიტიკურ გათვლებში გახლართული ჯავახეთი

არათუ მთელი საქართველო, არამედ მისი ცალკეული კუთხეებ-იც კი რთული პოლიტიკური თამაშების საგნადაა ქცეული. დღეს ჯა-ვახეთში მრავალი შიდა თუ გარე ინტერესი კვეთს ერთმანეთს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ არა მარტო ქართულ, არამედ მეზობელი ქვეყ-ნების პრესაშიც არცთუ მცირე ყურადღება ეთმობა ჯავახეთის პრობ-ლემატიკას. საჭიროა "სხვადასხვა თვალთახედვის" საგულდაგულო შესწავლა და გათვალისწინება, რათა გეოპოლიტიკური კვანძების გახ-სნისას დაცული იქნას პირველ რიგში საქართველოს ინტერესები.

ჯავახეთი “დიდი დესტაბილიზაციის” კონტექსტში

რუსეთის ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში მყოფი ძალები დიდი ხანია ცდილობენ თავისი მიზნებისათვის გამოიყენონ ის გარემოება, რომ ჯავახეთის ორი რაიონი უპირატესად სომეხი ეროვნების ადამიანებითაა დასახლებული. მაგალითად, მიაჩნიათ, რომ ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში სეპარატიზმის სტიმულირებისა და "ახალი ეთნოკონფლიქტის" წარმოშობის შიშით, საქართველოს ხელისუფლება უბრალოდ ვერ გაბედავს ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის საკითხის დაყენებას.

ჯავახეთზე "მნიშვნელოვანი იმედებია" დამყარებული რუსეთის ნაციონალისტურ-კომუნისტურ ძალებში დღეისათვის პოპულარული "საქართველოს დესტაბილიზაციისა და დაშლის გეგმაში". ამ ძალების ინტერესების გამომხატველი პოლიტოლოგები - კ. ზატულინი და ა. მიგრანიანი ჯერ კიდევ 1998 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებულ მოხსენებაში "დსთ: ისტორიის დასაწყისი თუ დასასრული?" (თავიანთი "ანონიმური ავტორობით") აღნიშნავდნენ: "საქართველოს მიერ ანტირუსეთული ხაზის გაგრძელების შემთხვევაში", სომხეთისათვის "გასაგები გახადონ", რომ შეუძლია "დე-ფაქტო შეიერთოს" ჯავახეთი, რუსეთმა კი "ხელი უნდა შეუწყოს სეპარატისტულ ტენდენციებს აჭარაში", რის შემდეგაც "გაიჭრება სომხეთსა და რუსეთს შორის პირდაპირი კომუნიკაციების უზრუნველმყოფი დერეფანი".

აღნიშნული "აქცია" ჩაფიქრებულია როგორც "კონტრზომა" თურქეთისა და აშშ-ს "ექსპანსიის" შესაჩერებლად, რომელთაც ნავთობის ათვისების საბაბით კასპიისპირეთში დამკვიდრება განუზრახავთ. ზატულინ-მიგრანიანი და მათი თანამოაზრეები, რუსეთისავე საბედნიეროდ, ამ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს მთლიანად ვერ განსაზღვრავენ.

სომხეთი ცდუნებასა და რეალიზმს შორის

საქართველო-სომხეთის დაპირისპირება დიდი ხანია შედის რუსეთის ნეოიმპერიული ძალების მიმდინარე თუ "პერსპექტიულ"

გეგმებში. ეს არა მარტო "მძლავრი დარტყმა" იქნებოდა საქართველოზე, არამედ სომხეთსაც "მტკიცედ და სამუდამოდ" მიაჯაჭვავდა რუსეთზე. სანამ ერევანი თბილისთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ინარჩუნებს, მას უზრუნველყოფილი აქვს სასიცოცხლო კომუნიკაციები და "ევრაზიული დერეფნის" პროექტებშიც კი შეუძლია ჩართვა. გარდა ამისა, საქართველოს შუამავლის როლის შესრულება

შეუძლია აზერბაიჯანთან და თურქეთთან მის "ისტორიულად მტრულ" ურთიერთობებში.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ტერ-პეტროსიანის პოლიტიკური სცენიდან წასვლის შემდეგ ამიერკავკასიაში გაძლიერდა პოლარიზაცია პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას ერთი მხრივ საქართველოსა და აზერბაიჯანს, მეორე მხრივ კი სომხეთს შორის. ეს გარემოება გარკვეულწილად, გაუცხოებასა და დაძაბულობის ზრდას იწვევს საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში. სომხურ პრესაში შეშფოთება და უკმაყოფილება გამოითქმის საქართველოს დაახლოების გამო აზერბაიჯანთან და თურქეთთან. რიგ შემთხვევებში ნავთობსადენთან და, საერთოდ, ევრაზიულ დერეფანთან დაკავშირებული პროექტები "მილიტარისტული" პოზიციიდან აღიქმება და მათ მომავალი თუ უკვე არსებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების საფუძვლად აცხადებენ. საქართველოს "გამოთიშვა" ამ პროექტებიდან არსებითად "დღის წესრიგიდან მოხსნის" სომხეთის გარშემო "არამეგობრული სტრატეგიული რკალის" შექმნას. ასეთ პირობებში გარკვეულ ძალებს, როგორც ჩანს, უჩნდებათ ცდუნება თავისი ნამდვილი თუ წარმოსახვითი გეოპოლიტიკური პრობლემები გადაწყვიტონ "საქართველოს პოზიციის კორექტირების" მეშვეობით.

თუმცა, საქართველოსთან დაპირისპირება რომ კატასტროფის ტოლფასი იქნება სომხეთისათვის, ეს კარგად ესმით სომხეთის ხელისუფალთ და წამყვანი პოლიტიკური ძალების უმეტეს ნაწილს. ამიტომ, მიუხედავად ცალკეული პრობლემებისა, ორი ქვეყნის ურთიერთობა, მთელი პოსტსაბჭოური პერიოდის მანძილზე, არასოდეს გამოსულა დეკლარირებული კეთილმეზობლობის ფარგლებიდან. არსე-

ბობს ერთადერთი საკითხი, რამაც თბილისი და ერევანი, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, შეიძლება კონფრონტაციის ფაქტის წინაშე დააყენოს. ესაა სწორედ სეპარატიზმის სტიმულირება ჯავახეთში და იქ "ცხელი წერტილის შექმნა".

ვისი ქვემეხებია მიმართული ჯავახეთისკენ

ეს რომ ასეა, კარგად გამოჩნდა 1999 წლის აგვისტოში ახალქალაქში მომხდარი ინციდენტის დროს, როდესაც მანევრებზე მიმავალ ქართული არმიის კოლონას გზა გადაუღობეს უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა. ინციდენტი, სამხედროთა თავშეკავების წყალობით, უსისხლოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, იგი საფუძველი გახდა სომხეთში პატარა "ანტიქართული ისტერიის" გაჩაღებისა გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან. "და მიმართეს ქვემეხები ჯავახეთზე", - ასეთი ემოციური სათაურით მოუთხრობდა მკითხველს სომხეთში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთი მომხდარის შესახებ.

მაშინ, მრავლად გამოთქმული რადიკალური მოსაზრებების თანახმად, საქართველო "მეთოდურად ცდილობს დაიქვემდებაროს ჯავახეთი", რომელიც დასავლურ ორიენტაციაში ხელშემშლელ ფაქტორად მიაჩნია. ამ მიზნით თურქეთისაკენ გაჰყავს რკინიგზა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ სომხობას ავტონომია არ აქვს, ისინი მაინც ახერხებენ "თავიანთი ინტერესების შემლახველ" მცდელობათა აღკვეთას. "სომხები არ დაუშვებენ ქართული ჯარების დისლოკაციის ადგილად ჯავახეთის გადაქცევასაც", რადგან ეს, ფაქტობრივად, თბილისის მხრიდან კონტროლის განხორციელებას ნიშნავს. "მეზობელ საქართველოს უნდა გავაგებინოთ, რომ სომხეთი არ დაუშვებს ჯავახეთში და სხვა ადგილებში მცხოვრებ სომეხთა მიმართ არამეგობრულ დამოკიდებულებას".

თუმცა რადიკალებს იქვე მიანიშნეს, რომ მიუღებელია "ცეცხლზე ნავთის დასხმა" და, საერთოდ, ჯავახეთში სეპარატიზმის სტიმულირება ე.წ. "ავტონომიის" მოთხოვნის წამოყენებით. ამ თვალსაზრისს გამოხატავდა, მაგალითად, გაზეთ "ჰაიქში" გამოქვეყნებული

ერთ-ერთი სტატიის ავტორი: "გარკვეული უცხო ძალები თანამიმდევრულად აჩაღებენ ქართულ-სომხურ ომს და ჩვენ გაუგებარი პატრიოტული პათოსით ვყლაპავთ ამ სატყუარას. უფრო მეტიც, ინიციატივას ჩვენ თავზე ვიღებთ".

გაერთიანების იდეის ორგვარი ხედვა

1999 წელს აქტიური განხილვის საგანი გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში სამცხე-ჯავახეთის შეყვანის იდეა, რომლის შესახებაც პირველად 28 სექტემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ასლან აბაშიძემ. თუმცა, გაერთიანების იდეის ავტორად მან საქართველოს პრეზიდენტი დაასახელა.

აჭარის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელის აზრით, ეს იქნებოდა ერთი მხრივ "ძველი ერთეულის აღდგენა, რომელიც ისტორიულად არსებობდა ერთ პერიოდში", მეორე მხრივ კი აჭარის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად, რაც საფუძველს გამოაცლიდა სეპარატიზმის განვითარებასაც. გარდა ამისა, აჭარიდან ჯავახეთში გადასახლებულებს კვლავ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში მოუწევდათ ყოფნა.

გაერთიანების აღნიშნულ მოტივაციას, როდესაც ბათუმსა და თბილისს შორის დაძაბულობა არსებობდა, ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა. ეჭვს ჯავახეთის "ავტონომიზაციის" სურვილის მატარებელი "ჯავახკის" ზოგიერთი ლიდერის ბათუმში სტუმრობის გახშირებაც და, განსაკუთრებით, "გაერთიანების იდეის" დეკლარირებამდე ცოტა ხნით ადრე ზატულინისა და მიგრანიანის ერევანსა და ბათუმში მოგზაურობა აძლიერებდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის გაერთიანების მცდელობა ხომ არ იყო აღნიშნული რუსი პოლიტოლოგების მიერ ადრე დეკლარირებული "სამხრეთ საქართველოზე კონტროლის დამყარების" გეგმის მოდერნიზებულ-შერბილებული ვარიანტი?

ზატულინ-მიგრანიანის ადრინდელი "მკაცრი" გეგმა, რომელიც აჭარაში "სეპარატიზმის წახალისებასა" და ჯავახეთის სომხეთთან "ფაქტობრივ მიერთებას" ითვალისწინებდა, მკვეთრად აუარესებდა რუსეთ-საქართველოს და საქართველო-სომხეთის ურთიერთობებს, გარდა ამისა, მაინც პრობლემატური რჩებოდა ბათუმი-ერევნის დერეფნის შექმნა, რადგანაც აჭარა და ჯავახეთი მაინც არ ესაზღვრებიან ერთმანეთს. აჭარის ავტონომიის სომხეთისაკენ "გაფართოება", რის შემდეგაც მთლიანად ავტონომიის შემადგენლობაში მოექცეოდა საქართველო-თურქეთის საზღვარი, აღნიშნული პოლიტოლოგებისა და მათი თანამოაზრეებისათვის "შესანიშნავ საფუძველს" ქმნიდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ახალი "გეოპოლიტიკური რეცეპტების" შესამუშავებლად.

თუმცა, აღნიშნული პროექტი "არარეალიზებადი" აღმოჩნდა თუნდაც იმიტომ, რომ მას აშკარად მტრულად და უნდობლად შეხვდა ჯავახეთის სომხური მოსახლეობა და ჩვენც ამ საკითხზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

არ სურთ მეგობარი ქვეყნის გამძლეობის გამოცდა

იმის გამო, რომ ტერიტორიულად ჯავახეთზე ან ჯავახეთის მახლობლად უნდა მოხდეს აზერბაიჯანისა და თურქეთისთვისაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტების _ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის და ყარსი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა, აღნიშნულ ორ ქვეყანაშიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ჯავახეთში მიმდინარე პროცესებს და შეშფოთებას გამოთქვამენ გარკვეული ძალების მიერ ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობებთან დაკავშირებით.

ერთი შეხედვით, საქართველო-სომხეთის დაპირისპირება აზერბაიჯანის ინტერესებში უნდა შედიოდეს. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო გაღრმავდებოდა საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა და მკვეთრად გაუარესდებოდა სომხეთის პოზიციები. მაგრამ დღეს აზერბაიჯანი სულაც არაა დაინტერესებული დაპირისპირების მკვეთრი ზრდით ამიერკავკასიაში. "კონფლიქტური კერის"

წარმოქმნა სამხრეთ საქართველოში გაართულებს ზემოთდასახელებული პროექტების რეალიზებას, რომელთაც პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება აზერბაიჯანისათვის.

გარდა ამისა, არც აზერბაიჯანში და არც თურქეთში არ სურთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე "მესამე ეთნოკონფლიქტის" წარმოქმნით რთული გამოცდის წინაშე დააყენონ მეგობარი ქვეყანა. ამ გამოცდას საქართველო მართალია გაუძლებს, მაგრამ მოვლენათა ამგვარი განვითარება, როგორც ვნახეთ, არ შედის სამხრეთ კავკასიის არცერთი სახელმწიფოს ინტერესებში.

7. რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა და საქართველო

ცივი ომის შემდგომი პერიოდი გეოპოლიტიკური კვლევების გააქტიურებით აღინიშნა. ამ მხრივ გამოირჩევა პოსტსაბჭოური სივრცე და, განსაკუთრებით, რუსეთი, სადაც გეოპოლიტიკამ დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ პრაქტიკოს პოლიტიკოსთა შორისაც.

გეოპოლიტიკურ კვლევებში გაჩნდა ახალი მიდგომები და მიმართულებანი, რომლებიც, მართალია, არ თავსდება ტრადიციული გეოპოლიტიკის ფარგლებში, მაგრამ მნიშვნელოვნად ამდიდრებს პოლიტიკის გლობალურ-სივრცითი კვლევის შესაძლებლობებს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა რელიგიის გეოპოლიტიკა. იგი, ამავე დროს, მჭიდროდაა დაკავშირებული ცივილიზაციურ გეოპოლიტიკასთან, რადგანაც რელიგია ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს.

რელიგიის გეოპოლიტიკის უმთავრესი იდეაა რელიგიური ფაქტორის გათვალისწინება და გამოყენება პოლიტიკური კავშირების და ბლოკების შესაქმნელად, საბოლოო ჯამში კი სივრცეზე კონტროლის შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად. თუ გავითვალისწინებთ კავკასიის რეგიონის სპეციფიკას, სადაც რამდენიმე მსოფლიო რელიგია

უშუალოდ ემეზობლება ერთმანეთს, რელიგიის გეოპოლიტიკის მნიშვნელობა უდავოა.

მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის აქტუალობა

რელიგიის გეოპოლიტიკიდან საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გავიაზროთ ქვეყნის ადგილი მართლმადიდებლურ სამყაროში და დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართება. მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის აქტუალობა აიხსნება რამდენიმე მიზეზით:

- მართლმადიდებლური ქვეყნების უმრავლესობაში (რუმინეთი, მოლდოვა, საქართველო, ბელორუსია, უკრაინა) ერთმანეთს დაემთხვა ორი რამ: გათავისუფლება კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმებისაგან, რომელთა არსებობის დროსაც ითრგუნებოდა რელიგიური თავისუფლება და თავად ამ ქვეყნების გათავისუფლება მოსკოვის დიქტატისაგან, რამაც შესაძლებელი გახადა მათ მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, აქტუალური გახდა იმის გარკვევა, თუ რა როლს შეასრულებს მართლმადიდებლობა ამ ქვეყნების პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში;

- მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის ფარგლებში უკვე არსებობს მთელი კონცეფციები. პირველ რიგში ვგულისხმობთ რუსულ მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკას. ამ კონცეფციებში კი არცთუ უკანასკნელი ადგილი უკავია საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებულ გათვლებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გეოპოლიტიკა არა მხოლოდ სამეცნიერო დისციპლინაა, არამედ მძლავრ იდეოლოგიურ მუხტსაც ატარებს, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ ჩვენ მეზობელ ქვეყნებში შექმნილ გეოპოლიტიკურ კონცეფციებს;

- მართლმადიდებლობის ფაქტორს აქტიურად იყენებენ ქართულ პოლიტიკაშიც, გარკვეული მიზნების და პირველ რიგში საგარეო ორიენტაციის დასასაბუთებლად.

მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკისადმი ინტერესი არა მარტო მართლმადიდებლურ ქვეყნებში იზრდება. მაგალითად, უკვე აქტიური განხილვის საგანი გახდა ის შესაძლო ცვლილებები, რასაც გამოიწვევს ევროკავშირის გაფართოების შედეგად მასში მართლმადიდებელი ქვეყნების რიცხვის ერთიდან ოთხამდე გაზრდა (საბერძნეთს კიდევ რუმინეთი, ბულგარეთი და კვიპროსი მიემატა). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კიდევ ხუთ ქვეყანაში (პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და სლოვაკეთი) მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მართლმადიდებელი დიასპორა წარმოადგენს.

მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის "ცერკოვნი ვესტნიკის" 2004 წლის სექტემბრის ნომერში ავსტრიისა და ვენის ეპისკოპოსი ილარიონი (ეს ეპარქია მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაშია) შეეხო ევროკავშირის ქვეყნებზე მართლმადიდებლობის მზარდი ზეგავლენისა და თავისებურებების საკითხს. ეპისკოპოსი მსჯელობდა იმაზეც, თუ როგორ შეუძლია რუსეთის პატრიარქს ამით ისარგებლოს.

ეპისკოპოს ილარიონის მიერ წამოჭრილ საკითხებს მაშინვე გამოეხმაურა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი პოლ გობლი, რომელმაც ამერიკულ "იუნაითედ პრეს ინტერნეშენლში" გამოაქვეყნა სტატია ნიშანდობლივი სათაურით: "მართლმადიდებლური ევროკავშირი?"[1] გობლის დასკვნით ევროკავშირში მართლმადიდებლობის გავლენის ზრდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გაუხსნის შესაძლებლობას საკუთარი გავლენა გააფართოვოს. ეს კი დაეხმარება როგორც კონტინენტზე საკუთარი კონფესიური ამოცანების გადაწყვეტაში, ასევე იმისთვის, რომ მართლმადიდებლური ეკლესია გამოვიდეს რუსული სახელმწიფოს გარეპოლიტიკური ინტერესების წარმმართველად.

საქართველოში მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა ჯერ არ ქცეულა სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგნად. თუმცა, მისი პრობლემატიკა საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ერთი მხრივ,

[1] სტატიის ქართული თარგმანი იხ. "რეზონანსი", 8.X.2004

გარკვეული ძალები ცდილობენ გაავრცელონ რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის წამყვანი კონცეფცია, რომლის თანახმადაც რუსეთი მოიაზრება მართლმადიდებლური სამყაროს ლიდერად, თავად ეს სამყარო კი დასავლეთთან დაპირისპირებულ ძალად განიხილება. მეორე მხრივ, ქართულ სინამდვილეში ამ თვალსაზრისის შემოტანის მცდელობა რადიკალურ საპასუხო რეაქციას იწვევს, რაც მართლმადიდებლობისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებაში გამოიხატება. დასავლეთთან სრული იდენტიფიკაციის სურვილი ზოგიერთებისათვის განაპირობებს მართლმადიდებლობის რეფორმირების სურვილსაც, რომელიც არსებული სახით დემოკრატიის ხელისშემშლელ და დასავლური ორიენტაციის მოწინააღმდეგედ ცხადდება.

არსებულ ვითარებაში საჭიროდ გვესახება როგორც რელიგიის და, კერძოდ, მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის უცხოური კონცეფციების შესწავლა, ისე ამ პრობლემატიკის გააზრება საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს ან სხვათა ინტერესები, ანდა რეალობის არაადექვატურად ამსახველი გულუბრყვილო წარმოდგენები. ერთიც და მეორეც ძალზედ სახიფათოა ქვეყნისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ გადასაწყვეტი აქვს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დამკვიდრების ამოცანები.

რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა

რუსულ გეოპოლიტიკაში მართლმადიდებლობისადმი გაორებული მიდგომა არსებობს. ერთი მხრივ, მართლმადიდებლობა მიიჩნევა ფაქტორად, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის პოზიციების აღდგენას და შენარჩუნებას გარკვეულ რეგიონებში. მეორე მხრივ თავად უფრთხიან მართლმადიდებლობის გადაქცევას რუსეთის პოლიტიკაში დომინირებულ ფაქტორად. ამ შემთხვევაში, როგორც ვარა-

უდობენ, რუსეთს სერიოზული პრობლემები შეექმნება ქვეყნის შიგნით და, განსაკუთრებით, საერთაშორისო არენაზე.

რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის შესახებ მკაფიო წარმოდგენას შეგვიქმნის იმ ნაშრომების გაცნობა, რომლებიც გეოპოლიტიკის და პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოების სტატუსითაა გამოსული. მაგალითად, ა.დუგინი თავის მთავარ ნაშრომში "გეოპოლიტიკის საფუძვლები"[2] ცალკე თავად გამოყოფს მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკას. თუმცა იქ გადმოცემულია მხოლოდ ბალკანეთის მართლმადიდებელი ქვეყნების გეოპოლიტიკური პრობლემები.

ა. პანარინი კონკრეტულად განიხილავს "ბერძნულ-მართლმადიდებლური იდეის" პოლიტიკურ პოტენციალს და მისი გამოყენების შესაძლებლობას "აღმოსავლურ-სლავური ქვეყნების სულიერი რეინტეგრაციისათვის", ისევე როგორც "მესამე რომის" იდეის აღორძინების შესაძლებლობას.[3]

ა. პანარინის აზრით, მართლმადიდებლობა გამაერთიანებელი იდეის სახით მეტად პერსპექტიულად გამოიყურება. გარდა ამისა, "ბიზანტიური მემკვიდრეობის" გახსენება რუსეთს შესაძლებლობას მისცემს დაბრუნდეს "თავის ევროპაში", დიდი ქვეყნისთვის დამამცირებელი ვესტერნიზაციის გარეშე და მოდერნიზაციის ამოცანები გადაწყვიტოს თავისი ისტორიული ფასეულობითი სისტემის შენარჩუნების გზით.

როგორც ა.პანარინი აღნიშნავს, მოსკოვი, მას შემდეგ რაც მე-16 საუკუნეში "მესამე რომის" თეორია თავის ოფიციალურ იდეოლოგიად გამოაცხადა, მართლმადიდებლობას ინტენსიურად იყენებდა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ მსოფლიოს თვალში მართლმადიდებლობას, ფაქტობრივად, დაკარ-

---

[2] [illegible] 1999 [illegible]

[3] [illegible] 1997, 364-385

გული აქვს მსოფლიო რელიგიის ხასიათი და ის რუსეთთანაა გაიგივებული.

პანარინის აზრით, იმისათვის, რომ მართლმადიდებლობამ შეასრულოს გამაერთიანებელი ძალის როლი, მან უნდა დაიბრუნოს მსოფლიო რელიგიის სტატუსი და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მართლმადიდებლობის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრები. უკრაინელთა "გულის მოსაგებად", ა.პანარინი წინადადებას აყენებს, რომ მართლმადიდებელი სამყაროს სულიერი ცენტრის როლი კიევს მიეკუთვნოს და, თუკი, უკრაინას არ სურს რუსეთთან ხელახალი შეერთება, რუსეთმა არ უნდა იუკადრისოს "კიევთან სულიერი მიერთება". მართლმადიდებლური სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად კი კვლავ მოსკოვი მოიაზრება.

"ბიზანტიური მემკვიდრეობა" აღმოსავლეთ სლავების და საერთოდ მართლმადიდებელი ერების ერთიანობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, მოსკოვის წინაშე კი ასევე დგას არაქრისტიანი ხალხების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შენარჩუნების, ანდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელახალი "ინტეგრირების" საკითხი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად რიგი რუსი ანალიტიკოსები სულ უფრო ხშირად იშველიებენ ევრაზიელობის იდეას, რომლის თანახმადაც ყოფილი რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს, ანუ "ევრაზიის სივრცის" მკვიდრთ, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საერთო ინტერესები და საერთო გეოპოლიტიკური ბედი აქვთ. სწორედ ამიტომ გარდუვალად ცხადდება მათი რეინტეგრაცია ერთიან ფედერაციულ ან კონფედერაციულ სახელმწიფოდ.

ევრაზიელობის "ძირითად რგოლს" სლავი და თურქულენოვანი ხალხების კავშირის იდეა წარმოადგენს. ევრაზიელთა თანახმად, რუსეთის სახელმწიფო სწორედ ამ ორი ეთნიკური ჯგუფის თანამშრომლობის ნაყოფს წარმოადგენს. ევრაზიელთა ასეთი თეზისი მრავალი რუსი ნაციონალისტის აღშფოთებას იწვევდა.

რუსი ანალიტიკოსები, იგივე ა.პანარინი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ სლავების შემაკავშირებელი მართლმადიდებლობა, ევრაზიელობასთან კავშირის გარეშე, შეიძლება თეოკრატიულ პანსლავიზმად გადაიქცეს, რაც რუსეთს მკვეთრად დააპირისპირებს როგორც დასავლეთთან, ისე მთელ მუსულმანურ სამყაროსთან. ევრაზიული იდენტურობის შემთხვევაში კი რუსეთი "კონსოლიდირდება როგორც ზესახელმწიფო თავის ტრადიციულ ცივილიზაციურ არეალში".

რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკისათვის თავისებურ "სასინჯ ქვას" წარმოადგენდა 1999 წლის კოსოვოს კრიზისი და ნატოს მიერ სერბიის ბომბარდირება. იმ პერიოდში რუსულ მასმედიაში ჩვეულებრივი იყო მტკიცება, რომ დეიტონის 1995 წლის შეთანხმება და 1999 წელს ომი იუგოსლავიის წინააღმდეგ ახალ ისტორიულ პირობებში იმ მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების გაგრძელება იყო, რაც დასავლურ ქრისტიანობასა და აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროს შორის არსებობდა.

რუსი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების ვარაუდით, იუგოსლავიის კონფლიქტს უნდა გამოეღვიძებინა მართლმადიდებლური სამყარო და გაეძლიერებინა ნეობიზანტიური ტენდენციები, ანუ მართლმადიდებლური ქვეყნების დასავლეთისგან გამიჯვნისა და რუსეთის გარშემო გაერთიანების პროცესი. ამ მხრივ დამახასიათებელია ს. სამუილოვის სტატია, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული, თუ რა რეაქცია მოჰყვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში ნატოს მიერ სერბიის ბომბარდირებას. კერძოდ იგი ცდილობს წარმოაჩინოს, რიგ შემთხვევებში რეალური საფუძვლის გარეშე, მართლმადიდებელი ქვეყნების მოსახლეობის სოლიდარობა სერბიასთან, განსხვავებით მათი "პროდასავლური პოლიტიკური ელიტებისაგან" "ჩვენ არა ვართ დასავლეთი" - სამუილოვის განცხადებით ესაა უმთავრესი, რაც შეიგნეს მართლმადიდებელმა ხალხებმა სერბიის დაბომბვის დროს. ამავე

დროს "ომმა მასობრივ ცნობიერებაში გააუმჯობესა რუსეთზე წარმოდგენა".[4]

საქართველო რუსულ მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკაში

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსული გეოპოლიტიკა ნეგატიურად არის განწყობილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი და სხვადასხვა ფორმით მისი რუსეთთან "რეინტეგრაციის" პროექტებს აყალიბებს. ჩვენთვის ცნობილი არ არის რომელიმე რუსი გეოპოლიტიკოსის ნაშრომი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა დებულება რუსეთისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორობის, რუსეთისათვის დამოუკიდებული ქართული სახელმწიფოს მნიშვნელობის თაობაზე.

თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკისათვის განსაკუთრებით მძაფრად არის დამახასიათებელი ნეოიმპერიული მისწრაფებები. ა.დუგინი ლაპარაკობს რუსეთის იმპერიის აღდგენაზე, რომელიც სივრცით გაცილებით მეტი უნდა იყოს წინამორბედ ვარიანტზე, ანუ საბჭოთა კავშირზე. ეს დებულება უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ მისივე განცხადებას იმის თაობაზე, რომ "რუსების ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის არაა დამთავრებული".[5]

თანამედროვე კავკასიის გეოპოლიტიკის განხილვისას, ა. დუგინი აღნიშნავს: "მართლმადიდებლური საქართველო ყველაზე მეტად იყო ანტირუსულად ორიენტირებული, მაგრამ აქაც თანდათანობით იღვიძებს რელიგიურ-გეოპოლიტიკური რეფლექსია და თავს იჩენს ევრაზიასთან ალიანსის აუცილებლობის შეგნება".[6]

---

[4] [illegible] 80

[5] [illegible] 1999, 213

[6] [illegible] 808

ახლა ვნახოთ თუ როგორ ესახება ა. დუგინს რუსეთზე ორიენტირებული საქართველოს მომავალი: საქართველო ექვემდებარება კავკასიაში დუგინის გეოპოლიტიკის ამოსავალ პრინციპებს - "რეგიონის არა პოლიტიკური, არამედ ეთნო-კულტურული დიფერენციაცია" და "ეთნიკური რეგიონების მერიდიანული ინტეგრაციის და ჰორიზონტალური გამიჯვნის წახალისება". შედეგად, დუგინის განცხადებით, "აფხაზეთი პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს რუსეთს", ასევე იქმნება "ერთიანი ოსეთი". სამაგიეროდ, დარჩენილ "მართლმადიდებელ საქართველოს" ეკისრება თავისებური "კავკასიური სახლის" კონტროლის ფუნქცია. დუგინის აზრით, გეოპოლიტიკურ ალყაში მოქცეული ჩეჩნეთი შეიძლება იმართოს "მართლმადიდებლური საქართველოს მხრიდან", გარდა ამისა, "საქართველოს აგრეთვე უნდა მიებას, ნაწილობრივ, დაღესტანი და ინგუშეთი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ავტონომიური ჩრდილო-კავკასიური ზონის შექმნა, ეკონომიკურად განვითარებულის, მაგრამ სტრატეგიულად მთლიანად რუსეთის მიერ კონტროლირებადის" ა.დუგინს შესაძლებლად მიაჩნია "კავკასიის ფედერაციის" შექმნაც, რომელშიც დღევანდელი "დსთ-ს სამ რესპუბლიკასთან ერთად" გაერთიანდებიან "შიდარუსული ავტონომიური წარმონაქმნებიც".[7]

ა. პანარინსაც აშკარად არ მოსწონს საქართველოს პოლიტიკა. სუუამთან დაკავშირებით იგი შენიშნავს: "გამოკვეთილი ღერძი კიევი - ტაშკენტი - ბაქო - თბილისი პირველ რიგში უხიფათო არაა თბილისისათვის. როგორც კი საქართველო დაკარგავს რუსულ გარანტიებს, ბლოკებისა და პოლიტიკის გზაზე ძალზე შორს წასვლით, მისი მდგომარეობა ამიერკავკასიის რეგიონში მკვეთრად გართულდება. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ რეჟიმების მუსულმანური რადიკალიზაციის ლოგიკას, რომლებიც რუსეთს სცილდებიან, შეიძლება ითქვას, რომ უკვე მომდევნო პოლიტიკურ თაობაში (15-20 წლის შემდეგ) მუ-

[7] □ □□,□3 52

სულმანური ქვეყნების მოსაზღვრე არამუსულმანურ სახელმწიფოებს საქმე ექნებათ აგრესიული პოლიტიკის გამტარებელ რეჟიმებთან".[8]

ს. სამუილოვი, რომელიც განიხილავს მართლმადიდებლურ ქვეყნებში სერბიასთან სოლიდარობის ფაქტებს, აღნიშნავს, რომ საქართველოში "პროტესტის მასობრივი გამოსვლები არ ყოფილა". ს. სამუილოვის თქმით, ქართული პრესა განწყობილია ანტირუსულად და პროდასავლურად. ამიტომ ძნელია გაიგო, თუ როგორია "პრორუსული ძალების პოლიტიკური წონა".[9]

ს.სამუილოვის აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული უნდა გახდეს მართლმადიდებლურ ქვეყნებთან ურთიერთობა. რუსეთ-ბელორუსიის კავშირის განმტკიცების შემდეგ მოსკოვი უნდა ესწრაფოდეს მჭიდრო კავშირის ფორმირებას სომხეთთან და სერბიასთან. სერბიის პარლამენტმა 1999 წ. 12 აპრილს მიიღო კიდეც გადაწყვეტილება რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან შეერთების თაობაზე.

როგორც სამუილოვი აღნიშნავს "ისტორიამ ისე ინება, რომ რუსეთს არა აქვს საერთო საზღვარი ამ ქვეყნებთან". ამიტომ რუსეთს მათთან ურთიერთობისთვის "ტრანზიტული ტერიტორიები" _ საქართველო და ბულგარეთი სჭირდება. ს.სამუილოვის თქმით "ამ ორი მართლმადიდებელი ქვეყნის ხელმძღვანელობა ამჟამად ცალსახად ორიენტირებულია დასავლეთზე. ამიტომ მათ მიმართ პოლიტიკა უნდა აიგოს ისე, რომ ისინი რუსეთისათვის ჯერჯერობით შენარჩუნდნენ ტრანზიტული ტერიტორიის სახით. რუსეთის განმტკიცებისა და დასავლური რეცეპტების ეფექტურობაში საქართველოსა და ბულგარეთის პოლიტიკური ელიტების იმედგაცრუებასთან ერთად, მათთანაც შეიძლება თანდათანობით მოძრაობა პარტნიორობიდან სამოკავშირეო ურთიერთობისაკენ".[10]

---

[8] [illegible] 1998, [illegible] 382

[9] [illegible] 2000 [illegible] 3, [illegible] 77

[10] [illegible] 82-83.

რელიგიური ფაქტორის წინ წამოწევას ყველა რუსი გეოპოლიტიკოსი როდი ეთანხმება. მაგალითად ვ.ილინი მართლმადიდებლური თეოკრატიის შექმნას "ქიმერულ უტოპიას" უწოდებს,[11] ხოლო იმპერიის აღდგენას შეუძლებლად აცხადებს.[12] თუმცა ეს არაფერს ცვლის მის მიერ ჩამოყალიბებულ რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში. ვ.ილინი აღნიშნავს, რომ რუსეთმა სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა უნდა აცალოს და, როგორც ირონიულად შენიშნავს, "ეროვნული თავისუფლებით ტკბობის" საშუალება მისცეს. მისი აზრით, რუსეთმა თანაბრად უნდა დაუჭიროს მხარი ორივეს. მაგრამ ვ. ილინის განცხადებით საქართველოს მიმართ ამგვარი ტაქტიკის გატარება ვერ ხერხდება. "ბრძოლა აფხაზეთისათვის, სამხრეთ ოსეთისათვის, შესაძლოა, აჭარისათვის, რომლებითაც დაინტერესებულია როგორც საქართველო, ისევე რუსეთი, განაპირობებს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ტემპებსა და ინტერვალებს" გამოსავალის სახით ვ.ილინს შემდეგი რეცეპტი აქვს: "გადაწყვეტილება, რომელსაც გვკარნახობს ინტუიცია, მდგომარეობს ორმაგი დაქვემდებარების პროტექტორატების შექმნაში".[13]

საერთოდ, საქართველოს დაშლის იდეა რუსული გეოპოლიტიკისათვის ძალზედ მომხიბვლელ ცდუნებას წარმოადგენს. მაგალითად, კ. გაჯიევი მიუთითებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთისაკენ სწრაფვაზე და სწუხს იმაზე, რომ საქართველოში დაშვებული არაა დამწერლობა მეგრულ და სვანურ ენებზე.[14]

კ. გაჯიევის შენიშვნით, საქართველოს განაპირა მხარეებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სისუსტის გამო ძალიან "ადვილად ექვემდებარები-

---

[11] [illegible], 1999, [illegible]398

[12] [illegible], 1999, [illegible]403

[13] [illegible], 1999, [illegible]407

[14] [illegible], 1995, [illegible]228-229

ან" მეზობელი სახელმწიფოების ზეგავლენას.[15] გაჯიევი ვრცლად საუბრობს ასევე საქართველოში მცხოვრები აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ავარების, ქისტების, ასევე აჭარის "სეპარატისტულ განწყობაზე" და შესაბამის პერსპექტივებზე.[16]

საქართველოს მიმართ რუსული გეოპოლიტიკის ძირითად სტერეოტიპებს იმეორებს ვ. დერგაჩიოვიც, რომელიც უკრაინაში მოღვაწეობს. მისი თქმით, "სომხეთისგან განსხვავებით საქართველოში და აზერბაიჯანში შენარჩუნებულია ტომობრივი და კლანური წარმონაქმნები. სეპარატისტული განწყობილება განსაკუთრებით გამოვლინდა კონფლიქტებში აფხაზეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში". დერგაჩიოვის შეფასებით, "გეოპოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება კავკასიაში რთულდება ერის ფორმირების დაუმთავრებლობით საქართველოში და აზერბაიჯანში. მაგალითად, საქართველოში გარდა ყველაზე გავრცელებული ქართულისა, არის სამი მონათესავე ენა - მეგრული, სვანური და ლაზური. მეგრელები, რომელთა დედაქალაქი უძველესი დროიდან იყო ზუგდიდი, ცხოვრობდნენ ბიზანტიისა და თურქეთის ხელისუფლების ქვეშ".[17]

რუსეთის მიერ მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოყენებას ამხელს დეკანოზი ბასილ კობახიძე. მისი თქმით, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მოსკოვში არსებობდა სპეციალური ანალიტიკური ბაზა, რომელიც მუშაობდა მართლმადიდებლობის ფაქტორის გეოპოლიტიკურ გამოყენებაზე. სწორედ ამ ბაზის მიერ დამუშავებულ მართლმადიდებლურ იდეოლოგიას იყენებდნენ ბალკანეთთან მიმართებაში. დღეს იგივე სქემის გამოყენება სურთ საქართველოში. მოსკოვის საპატრიარქო ავრცელებს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც დღეს მსოფლიოში არსებობს ცივილიზაციის ორი პოლუსი - დასავლური და ისლამური. ორივე დასაღუპად არის განწირული და ამიტომაც უნდა შეიქმნას მესამე - ე.წ. მართლმადი-

---

[15] [illegible] 2001, [illegible] 69-70
[16] [illegible] 2001, [illegible] 164-168
[17] [illegible]. [illegible] -[illegible], 2000, [illegible] 251-252

დებლური ცივილიზაცია და რომლის ცენტრიც იქნება რუსეთი. რუსეთმა უნდა შემოიკრიბოს გარშემო ყველა მართლმადიდებელი ხალხი და მართოს ისინი - მათ შორის ბულგარეთიც, საქართველოც და რუმინეთიც.[18]

როგორც ვხედავთ, რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა ემსახურება პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმეს და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ქართულ აზროვნებაში რუსული გეოპოლიტიკური კონსტრუქციების შემოტანის მცდელობანი

რუსული გეოპოლიტიკა არ აზროვნებს მარტო მართლმადიდებლობის კატეგორიებით და რელიგიურ ფაქტორს იყენებს წმინდა პრაგმატული მიზნით - საერთაშორისო არენაზე რუსეთის პოზიციების აღსადგენად. ამის დავიწყება მით უფრო არ შეიძლება რომ კარგა ხანია გამოიკვეთა რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების ქართულ ცნობიერებაში შემოტანის მცდელობა. მაგალითად, ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ა.დუგინის წიგნი "გეოპოლიტიკის საფუძვლები", რომელიც "ყველა ქართველ პოლიტიკოსს ეძღვნება".[19] დუგინის წიგნის გაცნობა, ცხადია, რუსი გეოპოლიტიკოსის მეგობრულ ზრახვებში ქართველ მკითხველს ვერ დაარწმუნებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელი უნდა შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რომ დასავლეთიც ისეთივე "მტერი და მეგობარია" როგორც რუსეთი.

ალექსანდრე დუგინის ინტერნეტ-საიტზე სახელწოდებით "არკტოგეია", რომელშიც მოთავსებულია პოლიტიკური გამოკვლევები და მასალები, გაჩნდა სპეციალური ქართული ქვესაიტი "არკტოგეია", რომელშიც განთავსებულია საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური კავშირის "ჯვაროსნების" წევრთა მასალები. ამ ორგანიზაცი-

---

[18] „ალია“, 7-9.VIII.2004

[19] დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ.: მთაწმინდელი, 1999 - 449 გვ.

ის მიზნებია ევრაზიელობის, მართლმადიდებლობის პროპაგანდა და ე.წ. "ატლანტიზმის", ანუ დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

მართლმადიდებლობას გარკვეული ძალები პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებენ და საქართველოს ჩრდილოური ორიენტაციის საჭიროების უმთავრესი არგუმენტის სახით წარმოადგენენ. ამ ძალების პოზიცია რამდენიმე თეზისზე დაიყვანება: ქართველობის საფუძველი მართლმადიდებლობაა, დასავლეთი ჩვენგან მართლმადიდებლობის დათმობას მოითხოვს (სექტების მოღვაწეობა), არსებული ხელისუფლება ამას ხელს უწყობს. ქართველობის გადარჩენა მხოლოდ რუსეთთან უმჭიდროესი კავშირის შემთხვევაშია შესაძლებელი. "რუსეთთან უმჭიდროესი კავშირი" კი, არსებითად, საქართველოს დამოუკიდებლობაზე უარის თქმას ნიშნავს.

ქართული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის პერსპექტივები

ქართულ მედიაში ხშირად იმოწმებენ ხოლმე ფრაზას, რომელიც ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგ ზბიგნევ ბჟეზინსკის მიეწერება: "კომუნიზმის აღმოფხვრის შემდეგ დასავლეთისთვის მთავარ საფრთხეს მართლმადიდებლობა წარმოადგენს". აღსანიშნავია, რომ 1999 წლის სექტემბერში ბჟეზინსკის თბილისში ყოფნის დროს ინტერვიუ ჩამოართვეს და პირდაპირ ჰკითხეს - მართლა განაცხადა თუ არა მსგავსი რამ. ბჟეზინსკიმ ეს კატეგორიულად უარყო და "იდიოტურ მონაჩმახად" მიიჩნია.[20] აღნიშნული ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგაც ზოგიერთები კვლავ ჯიუტად იყენებენ ამ ვითომდა ბჟეზინსკისეულ განცხადებას და უკეთებენ "კომენტარებს". ზემოთაღნიშნული განცხადების ბჟეზინსკისათვის მიწერამ მეტი დამაჯერებლობა უნდა შესძინოს მსჯელობებს ქართული თვითმყოფადობისათვის დასავლეთიდან მომდინარე საფრთხის თაობაზე.

[20] "კვირის პალიტრა", 20-26.IX.2004

თუმცა, საქართველოში "მართლმადიდებლური სოლიდარობის" პოლიტიკურ არგუმენტად მოშველიება ბევრს მიუღებლად მიაჩნია და მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს. მაშინვე მიუთითებენ რუსეთის ორსაუკუნოვან აგრესიაზე და ბერძენი ბერების ხელში მყოფ ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის განადგურებაზე.[21]

გადაწყვეტილებებს საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის ინტერესები ედება საფუძვლად. ნებისმიერი ქვეყანა ესწრაფვის თავისი ინტერესების დაცვას. საქართველოს თავისი სახელმწიფო დიდი ხნის მანძილზე წართმეული ქონდა და ამიტომ ძალზე კარგად უნდა გავიცნობიეროთ ეს ელემენტარული პრინციპი.

დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საქართველო რუსეთის მძლავრი ზეწოლის ქვეშაა მოქცეული, საქართველოს ინტერესების დაცულობის მიღწევა ე.წ. "დასავლური ორიენტაციის" გზაზე უნდა ვეძებოთ. თუ მართლმადიდებლობაზე მიდგა საქმე, შეგვიძლია მაგალითი ავიღოთ ბულგარეთისგან ან რუმინეთისგან. ასე რომ მართლმადიდებლობის ვექტორი პოლიტიკაში მარტო ჩრდილოეთის მიმართულებას არ უჩვენებს.

შეგვიძლია გავითვალისწინოთ წარსულის გამოცდილებაც. თავის დროზე საქართველომ შესძლო თავისი ინტერესების გააზრება და დაცვა მართლმადიდებლურ ბიზანტიასთან ურთიერთობაში. ის რაც ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს მე-11 საუკუნეში, რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ 21-ე საუკუნის დამდეგს. ქართული მართლმადიდებლობა ყოველთვის ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული მეობის დამცველი იყო, ეს კარგად უნდა გავიაზროთ და ვერავინ უნდა მოახერხოს, რომ მართლმადიდებლობა ქართული სახელმწიფოს დამკვიდრების წინააღმდეგ გამოიყენოს.

[21] იხ. მაგ. "მთავარი გაზეთი", 15.VII.2004

დანართი

პოლ გობლი ამიერკავკასიის პრობლემების შესახებ

გაზეთმა "რესპუბლიკა არმენიამ" (21.08.1997) გამოაქვეყნა ცნობილი პოლიტოლოგის პოლ გობლის ინტერვიუ, რომელიც მან რადიოსადგურ "თავისუფლებას" მისცა. იგი განიხილავს კასპიის ნავთობის ტრანზიტისა და ამიერკავკასიაში სიტუაციის განვითარების პერსპექტივებს. აღსანიშნავია, რომ ვრცელ ინტერვიუში გობლი ერთხელაც კი არ ახსენებს საქართველოს, თუმცა მის მიერ განხილული საკითხები პირდაპირ ან ირიბად ჩვენს ქვეყანას შეეხება.

გობლის არმენოფილური ტენდენციები

ამერიკელი პოლიტოლოგის პოზიციის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი პროსომხური პოზიცია. გობლის პოზიციის მიხედვით, როგორც ჩანს, შეიძლება ვიმსჯელოთ აშშ-ის პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა გარკვეული წრეების დამოკიდებულებაზე ამიერკავკასიის პრობლემებისადმი.

გობლი შემდეგნაირად აყალიბებს აშშ-ის ინტერესებს რეგიონში:

- ამერიკის გავლენის გავრცელება და კასპიის ნავთობის მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- დემოკრატიისა და სოციალური რეფორმების, სოციალური სამართლიანობისათვის ხელშეწყობა;

- აშშ-სა და სომხეთს შორის ისტორიული კავშირების ხელშეწყობა.

გობლი აღნიშნავს, რომ რუსეთის უკანასკნელი თვეების პოლიტიკის მსგავსად, ვაშინგტონის პოლიტიკაშიც ჭარბობს "ეკონომიკური ანგარიში", რამაც ორივე ქვეყანა ბაქოს მხარეზე გადახარა, "თუნ-

დაც დროებითად" და იქვე უმატებს: "თუმცა ნათელი არაა, შევძლებთ კი ჩვენ ამ პოლიტიკით მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს".

აშშ-ის ახალი კავკასიური პოლიტიკა

აშშ-ის ახალი პოლიტიკური ინიციატივა ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით ნიშნავს ვაშინგტონის კავკასიური პოლიტიკის ძირეულ შეცვლას (იგულისხმება 1997 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გაკეთებული განცხადება, რომ აშშ ემზადება უახლოესი 6 კვირის მანძილზე ზეგავლენა მოახდინოს ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაზე ლისაბონის პრინციპების საფუძველზე). გობლის სიტყვით, ამ პოლიტიკის ყველა დებულება ჯერ არაა გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე შესაძლებელია დავინახოთ მისი რამდენიმე მთავარი აქცენტი:

- აშშ-ის განზრახული აქვს ადრინდელზე მეტი ყურადღება დაუთმოს კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს. ეს მოწმობს, თუ რამდენად სერიოზულად უყურებს აშშ ამ რეგიონის პრობლემებს;

- Tანდათანობით ცხადი ხდება, რომ კავკასიისადმი ინტერესის ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია კასპიის გაზითა და ნავთობით სარგებლობის სურვილით;

- შეინიშნება ახლებური მიდგომა ირანისადმი, რაც ცვლის გეოპოლიტიკურ სიტუაციას რეგიონში (დამოკიდებულების შეცვლაზე მეტყველებს ვაშინგტონის თანხმობა ირანის გავლით გაზსადენის მშენებლობაზე, რომლითაც თურქმენეთიდან თურქეთს უნდა მიეწოდოს გაზი).

ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება შეუძლებელია გობლი აღნიშნავს, რომ "მანამდე სანამ არ გადაწყდება ზოგიერთი პრობლემა, ნავთობი კასპიის აუზიდან დენას არ დაიწყებს. აუცილებელი არაა, რომ გადაწყდეს ყველა ეს პრობლემა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად უნდა იქნას გადაწყვეტილი", კერძოდ კი ყარაბაღის პრობლემა.

გობლის სიტყვით, დასავლეთს კასპიის ნავთობის გასატანად სამი ვარიანტი აქვს:

ა) დასავლეთის მარშრუტი, ანუ ამიერკავკასიის ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის საჭიროა ნაპოვნი იქნას ყარაბაღის პრობლემის მოგვარების ისეთი ვარიანტი, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას ორივე მხარისათვის და ყარაბაღის სომხების უფლებათა გარანტირებას საერთაშორისო დონეზე;

ბ) შეიცვალოს ამერიკის პოლიტიკა ირანისადმი. კერძოდ, ნება დართოს ნავთობისა და გაზის სამხრეთის მარშრუტით ტრანსპორტირებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მხედველობაში აღარ მიიღონ ყარაბაღის კონფლიქტი;

გ) ამერიკამ იგნორირება უნდა მოახდინოს საკითხისა, არის თუ არა ესა თუ ის ქვეყანა დემოკრატიული. ამ შემთხვევაში ვაშინგტონი გამოვიდოდა ტოტალიტარული რეჟიმების ხელშემწყობის როლში, რომელთაც შეეძლებოდათ ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

უკანასკნელი ვარიანტი გობლის აზრით არ იქნება გრძელვადიანი და პერსპექტიული. "რაც არ უნდა სურდეს ქლინთონის ადმინისტრაციას", მას მოუწევს ამერიკელი ხალხის პოზიციის გათვალისწინება, რომელიც მხარს უჭერს 907 პუნქტის შენარჩუნებას.

გობლი აღნიშნავს, რომ მილსადენები უსაფრთხო არ იქნება მანამდე, სანამ ადამიანები არ იქნებიან კმაყოფილნი და მიუთითებს თურქმენეთ-სომხეთის გაზსადენზე, რომელიც 32-ჯერ იქნა აფეთქებული.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ვარიანტები

გობლი პესიმისტურად უყურებს ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას, პრობლემისა, რომელსაც, მისი სიტყვით, უკანასკნელი 9 წლის მანძილზე "ყურადღებით ადევნებდა თვალს". გობლი აღნიშნავს, რომ შეთანხმება, რომლითაც ერთ-ერთი მხარე მსხვერპლად იგრძნობს თავს მხოლოდ დროებითი დაზავება იქნება და არა მშვიდობა. გობლის აზრით, ყარაბაღთან დაკავშირებით "ჩვენ ახლა

უნდა ვილაპარაკოთ არა მშვიდობაზე, არამედ იმაზე, რომ შევდივართ პერიოდში, როდესაც იწყება სამშვიდობო პროცესი".

გობლი განიხილავს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების სამ ვარიანტს:

1. შეთანხმების მიღწევა ლისაბონის პრინციპების საფუძველზე. მას არასწორად მიაჩნია მოსაზრება, თითქოს დიდი სახელმწიფოები, მონდომების შემთხვევაში, ადვილად მოახერხებენ მშვიდობის მიღწევას, ლისაბონის პრინციპების (ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო გარანტიები) თანახმად. გობლის სიტყვებით, ამჟამად ჩვენ საქმე გვაქვს სიტუაციასთან, როდესაც კონფლიქტის მონაწილე მხარეებიდან ყველაზე სუსტსაც შეუძლია წინ აღუდგეს თავისი მოქმედებით შეთანხმების მიღწევას. მისი აზრით, ძნელი წარმოსადგენია რეგიონი, რომელმაც ამდენი გადაიტანა, დათანხმდეს დიდი ხნით დაუბრუნდეს "სტატუს-კვოს". ოფიციალურმა ბაქომ, ერევანმა და თუნდაც სტეპანაკერტმაც კი ხელი რომ მოაწერონ რაიმე შეთანხმებას, მას ხალხი არ მიიღებს. "მე არა მგონია, რომ მრავალი სომეხი, თუნდაც ყარაბაღში, უახლოეს მომავალში მზად იქნება მიიღოს ლისაბონის პრინციპები", - აღნიშნავს გობლი.

2. ჩეჩნური ვარიანტი. ოფიციალური ერევანი არ მალავს, რომ იგი მზადაა "ჩეჩნური ვარიანტი" (ე.ი. სამშვიდობო შეთანხმება სტატუსის განსაზღვრის გადავადებით, რასაც რუსეთი დათანხმდა საომარი მოქმედებების შემდეგ) მიიღოს ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგების პროცესში. გობლის შეფასებით ჩეჩნეთი დამოუკიდებლობის გზაზე დგას და დიდი შანსი აქვს მისი მიღწევისა. ერევნისათვის "ჩეჩნური ხელშეკრულება" იმითაა მიმზიდველი, რომ ითვალისწინებს 5-წლიან მორატორიუმს, რომლის დროსაც შენარჩუნებული იქნება არსებული ვითარება და გადაიდება სტატუსის განსაზღვრის საკითხი. ამით: ა)ერევანს საშუალება მიეცემა დასძლიოს დღეს არსებული გარკვეული დიპლომატიური იზოლაცია; ბ) ყარაბაღის სომეხი ხელისუფალნი გა-ნიმტკიცებენ პოზიციებს; გ) ყარაბაღის საკითხი ჩამოცილ-

დება სამხედრო კონფლიქტს და აზერბაიჯანს შესაძლებლობა მიეცემა დადოს შეთანხმება.

ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, ეს მეტად ოპტიმისტური შეფასებაა. "გადადებული სტატუსი" არაა კონფლიქტის გადაწყვეტა. აზერბაიჯანის ნავთობი თუ ამ ხუთი წლის მანძილზე იდენს, მაშინ ბაქოს შესაძლებლობა მიეცემა შექმნას არმია, რაც დღეს არ გააჩნია. "მსგავსი ცვლილებები არცთუ ისე კარგი რეცეპტია რაიმე შეთანხმების მისაღწევად".

3. შეთანხმება მიწების გაცვლით. გობლის აზრით, ორივე მხარისათვის ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის მისაღები ვარიანტი იქნებოდა მიწების გაცვლა. მან რამდენიმე წლის წინ წამოაყენა ასეთი გეგმა, რომლის თანახმად სომხეთი იღებდა ყარაბაღს, აზერბაიჯანს კი სანაცვლოდ ეძლეოდა ზანგეზური, რითაც ნახჭევანი აზერბაიჯანის უშუალო ნაწილი ხდებოდა. ამჯერად გობლი აღნიშნული გეგმის მოდიფიცირებულ ვარიანტს აყენებს. იგი აღიარებს, რომ სომხეთისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ირანთან საერთო საზღვარი, რის გამოც მის მიერ წამოყენებული "გაცვლითი გეგმა" სომხეთისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. ამჯერად გობლი აღნიშნავს, რომ სომხეთმა უნდა მიიღოს დამატებით კიდევ ნახჭევნის ოლქის ნაწილი, რათა შეინარჩუნოს საზღვარი ირანთან. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ "საერთაშორისო საზოგადოებრიობას არ სურს განიხილოს საზღვრების შეცვლის ვარიანტი" (თუმცა აღსანიშნავია, რომ თურქეთის ახალი ვიცე-პრემიერი ბულენტ ეჯევითი ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა წინადადებით, რაც ძალზე ჰგავს გობლის გეგმას).

კავკასიაში არსებული საზღვრები, გობლის სიტყვით, უსამართლოა და ისინი სტალინმა ისე გაავლო, რომ მუდამ წარმოიქმნებოდეს კონფლიქტები.

კავკასიის და შუა აზიის ერთიან რეგიონად განხილვა

გობლი ეხება აგრეთვე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში კავკასიისა და შუა აზიის განყოფილებების გაერთიანებას. დეპარტამენ-

ტის წარმომადგენლის განმარტებით, ეს გაკეთდა იმისათვის, რომ ხაზი გასმოდა ამ ქვეყნების ერთიანობას. გობლი არ იზიარებს ასეთ ახსნას და თავის მხრივ გამოთქვამს ვარაუდებს:

- გაერთიანება მოხდა ლობისტების ამოცანის გასაადვილებლად, რომ მათ საქმე ქონდეთ ორის ნაცვლად ერთ განყოფილებასთან;

- აშშ უარს ამბობს აღიაროს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებიან.

გობლის აზრით, კავკასიისა და შუა აზიის ერთობის ხაზგასმით ვაშინგტონი არა მარტო არ ხდის სადავოდ რუსეთის ინტერესებს ამ რეგიონში, არამედ არასაკმარისად ითვალისწინებს ამ ქვეყნების თავისებურებებს.

ფრონტის ხაზის გარეშე: პროსომხური და პროაზერბაიჯანული ლობის დაპირისპირება აშშ-ში

აშშ-ში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს აშკარა თუ ფარული ბრძოლა პროსომხურ და პროაზერბაიჯანულ ლობს შორის. მათი "გენერალური დაპირისპირება" კონგრესში უკვე ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. ამ ბრძოლის შედეგებზე კი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ აშშ-ის პოლიტიკური კურსის ფორმირება.

პროსომხური ლობი ამერიკული მასმედიის დახასიათებით, ესაა უაღრესად გავლენიანი ძალა, რომელიც 42 კონგრესმენს აერთიანებს. 1992 წელს მათი ძალისხმევით იქნა მიღებული 907-ე შესწორება, რომლის ძალითაც აშშ-ის მთავრობას აეკრძალა პირდაპირი ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების გაწევა აზერბაიჯანისათ¬ვის მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი დათმობებზე არ წავა მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობისადმი და არ მოუხსნის მას ბლოკადას.

უპირატესობა დღესაც სომხური ლობის მხარეზეა. ამის გამოხატულებაა ვაშინგტონის მიერ ორივე ქვეყნისათვის გაწეული ეკონომიკური დახმარების თანაფარდობა. აზერბაიჯანმა წელს მხოლოდ 100 მლნ დოლარი მიიღო კერძო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მეშვეობით, სომხეთისათვის გაწეულმა პირდაპირმა დახმარებამ კი 600 მლნ დოლარი შეადგინა.

ნავთობი - პროაზერბაიჯანული ლობის გა'ლლიერების საფუ'ველი აშშ-ში პროაზერბაიჯანული ლობის ჩამოყალიბების საფუძველია "მეოცე საუკუნის უკანასკნელი სანავთობო ციებ-ცხელება" - კასპიის ნავთობის მარაგის ათვისების პერსპექტივა. ეს მარაგი კი 4 ტრილიონ დოლარად ფასდება. აზერბაიჯანის საერთაშორისო სანავთობო კონსორციუმის განკარგულებაშია საბადოები 200 მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგით - ეს მეტია ყველა რეგიონში არსებულ მარაგზე, სპარსეთის ყურის გამოკლებით. ამ კონსორციუმში კი ამერიკელთა წილი 40 პროცენტს შეადგენს.

"ესაა ნავთობის უდიდესი მარაგი, დროა გავიღვიძოთ", - ასეთია პროაზერბაიჯანული სანავთობო ლობის ლოზუნგი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ ამერიკულ საზოგადოებას განუმარტონ კასპიის ნავთობის უდიდესი მნიშვნელობა აშშ-ის ინტერესებისათვის. აღინიშნება, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკელები "დააგვიანებენ" კასპიის სანავთობო კონცესიების მომდევნო სერიებში უპირატესობა შეიძლება სხვა ქვეყნების ნავთობკომპანიებმა მოიპოვონ.

პროაზერბაიჯანული ლობის უპირველესი ამოცანა ამ ქვეყნისათვის ამერიკული დახმარების აკრძალვის გაუქმების მიღწევაა. ჰ.ალიევის ვიზიტი აშშ-ში შეფასდა როგორც ოფიციალური ვაშინგტონის პოზიციის გარკვეულწილად შეცვლა აზერბაიჯანის სასარგებლოდ.

პროსომხური ლობის გაღიზიანება პროაზერბაიჯანული ლობის გააქტიურებასა და გაძლიერებას აშშ-ში პროსომხური ლობის გაღიზიანება მოჰყვა. "კასპიის ნავთობის სუნი ძლიერია იმ მყრალ სუნზე, რაც ბ-ნ ალიევის წარსულიდან მომდინარეობს", - აღნიშნავდა ვაშინგტონ-

ში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტის წინახანებში აშშ-ის საინ-ფორმაციო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი მ.უილიამ ჰარატუნია-ნი.

პროსომხური ლობის წარმომადგენელთა განცხადებით უზნე-ობაა მთიანი ყარაბაღის თვითგამორკვევის უფლების შეწირვა სანავ-თობო პოლიტიკური თამაშებისათვის და იხსენებენ წარსულს, როდე-საც იმავე ვაშინგტონმა ისრაელი არ გაწირა, მიუხედავად არაბული ქვეყნებიდან მომდინარე ეკონომიკური ბოიკოტებისა და სანავთობო ემბარგოს მუქარისა.

პროსომხური ლობის მოკავშირეებად შეიძლება განვიხილოთ ის ამერიკელი პოლიტიკოსები თუ ანალიტიკოსები, რომელთა აზრი-თაც ვაშინგტონი მეტად ფრთხილად უნდა მოეკიდოს აზერბაიჯანის სანავთობო პერსპექტივებს და ასახელებენ ისეთ ფაქტორებს, როგო-რიცაა:

- ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირების გარანტიების არქო-ნა;

- საბჭოური ნავთობმოპოვების შვიდმა ათეულმა წელმა სერი-ოზული ზიანი მიაყენა აზერბაიჯანის ნავთობის მარაგს და ამასთან ეკოლოგიურად უაღრესად დააბინძურა რეგიონი;

- ინვესტირება ძნელია ქვეყანაში, სადაც არსებობს "თურქული კორუფციის უნიკალური აზერბაიჯანული ფორმა საბჭოური ვერსი-ით".

პროაზერბაიჯანული ლობის შემადგენლობა საყურადღებოა, რომ აშშ-ის პროაზერბაიჯანული ლობი აერთიანებს ამ ქვეყნის მრა-ვალ თვალსაჩინო პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს: ესაა პრე-ზიდენტის ორი ყოფილი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარ-გში ბრენტ სკოუკროფტი და ზბიგნევ ბჟეზინსკი, თეთრი სახლის აპ-არატის ყოფილი ხელმძღვანელი ჯონ ნ.სუნუნუ, ბუშის ადმინისტრა-ციაში თავდაცვის მინისტრი რიჩარდ ჩეინი და სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, აგრეთვე ლოიდ ბენტსენი, რომელიც ფინანსთა მინის-ტრი იყო ქლინთონის მთავრობაში.

ამ პოლიტიკოსებს მჭიდრო კავშირი აქვთ სანავთობო კომპანიებთან. მაგალითად, "პენზოილმა" 100 ათასი დოლარი გადაუხადა ბ.სკოუკროფტს "სპეციალურ საერთაშორისო პროექტებში გაწეული კონსულტაციებისათვის", როგორც აღნიშნულია ამ ფირმის უკანასკნელ წლიურ ანგარიშში. მანვე მიიღო 30 ათასი დოლარი როგორც აღნიშნული ფირმის დირექტორმა.

ბჟეზინსკი არის "ამოკოს" კონსულტანტი, ჩეინი კი კომპანია "ჰალიბერტონ ინკ"-ის თავმჯდომარეა, რომელიც ასევე ჩაბმულია კასპიის ნავთობპროექტებში. აზერბაიჯანის საერთაშორისო მომპოვებელი კომპანია ბეიკერის იურიდიული ფირმის კონსულტაციით სარგებლობს. ცხადია, რომ დასახელებული პიროვნებები ასაბუთებენ აზერბაიჯანის სტრატეგიულ მნიშვნელობას აშშ-სთვის. "ისინი თავიანთი მოქმედების ძალზედ მჭიდრო კოორდინაციას ახდენენ ალიევთან", _ აღნიშნა ტიმოთი ჯემალმა, პროსომხური ლობის წარმომადგენელმა.

რეგიონში ამერიკის ინტერესების თანამედროვე ინტერპრეტაცია როგორც აღნიშნავს "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის ავტორი, ცივი ომის მრავალი ძველი მომხრის აზრით, სანავთობო ბუმი უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა დაეხმარონ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს განამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა რუსეთთან მიმართებაში და იმავდროულად გამოიყენონ ბიზნესისათვის არსებული ხელსაყრელი პირობები.

ქლინთონის ადმინისტრაცია ფაქტობრივად მხარს უჭერს აზერბაიჯანისათვის ამერიკის დახმარების აკრძალვის გაუქმებას, ხოლო მისი თანათავმჯდომარეობა მინსკის ჯგუფში კი შეიძლება აღმოჩნდეს სომხეთზე ზეწოლის გაძლიერების საფუძველი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ლისაბონის სამიტის პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების თანახმად, "მომდევნო ათწლეულის განმავლობაში კასპიის რეგიონი შეიძლება იქცეს ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშედ მსოფლიო სანავთობო ბაზრებზე".

რეგიონში აშშ-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ინტერესები კი შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული:

- ენერგომატარებელთა მსოფლიო მიწოდებების გაზრდა და დივერსიფიკაცია;

- ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება;

- მეზობლად მდებარე ირანის იზოლაცია.

ბევრის აზრით, აშშ-ის უფრო დაბალანსებული პოლიტიკა სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ ხელს შეუწყობს რეგიონში რუსეთის ბატონობის შეკავებას. არგუმენტად აქ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა უაინბერგერმა მიუთითა სომხეთისათვის დიდი რაოდენობით რუსული იარაღის გადაცემის ფაქტზე. ეს თემა აიტაცეს სანავთობო კომპანიების ლობისტებმა. აღინიშნება, რომ აზერბაიჯანისაგან განსხვავებით სომხეთმა თავის ტერიტორიაზე განალაგა რუსეთის სამხედრო ბაზები.

დაპირისპირება პროსომხურ და პროაზერბაიჯანულ ლობს შორის კასპიის ნავთობის ტრანზიტის მარშრუტების საბოლოო განსაზღვრასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ორი ლობის კომპრომისის ვარიანტი - ნავთობის სომხეთის გავლით ტრანსპორტირება, უაღრესად პრობლემატურია, თუ არარეალური არა, ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტის გამო.

"რეზონანსი", 1.X.1997